

გამოქვეყნდა თუ არა აღდგომილი იესო ქრისტე თავის დედას?

მ. გაბრიელე ბრაგანტინი*

I. შესავალი

კანონიკურ სახარებებში და *ახალ აღთქმაში* მკვედრეთით აღდგომილი იესო აღდგომის დღეს თანმიმდევრობით ერვენება მარიამ მაგდალელს, ღვთისმოსავ ქალებს, ორ ემაუსელ მონაფეს, პეტრესა და მოციქულებს; შემდგომ, კვლავ ერვენება მოციქულებს იერუსალიმში, გალილეის ტბაზე და, როგორც მოკლედ აღწერილი წყაროები გვამცნობენ, გამოცხადებები ამ რეგიონში გრძელდება ორმოცი დღის მანძილზე: გალილეაში, ერთ-ერთ დაუდგენელ მთაზე, კვლავ იერუსალიმში, იაკობისა და ყველა მოციქულის წინაშე, ერთდროულად ხუთასი კაცის წინაშე და ბოლოს, დამასკოს გზაზე მიმავალი პავლეს წინაშე.¹ ამ გამოცხადებებში გვაკვირვებს ის ფაქტი, რომ არაფერია ნაუნწყები მარიამის წინაშე იესოს გამოცხადებაზე, რაც გაუგებარია არა მარტო ლიტერატურული, არამედ ისტორიული და კიდევ უფრო მეტად, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, რადგანაც ძნელია იმის წარმოდგენა, რომ ეს კურთხეული ძე, ისეთი უნიკალური მოვლენების შემდეგ, როგორიც მისი სიკვდილი და აღდგომაა, თავის დედას არ ეცხადება. ამ შექმნილ სიცარიელეს აზრი ეძლევა მაშინ, თუკი გავითვალისწინებთ წერილობით მო-

* სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ლექტორი. bragage@gmail.com

¹ ამ თხრობათა ჰარმონიზირება ბიბლიური და თეოლოგიური კვლევების დასაწყისიდანვე წარმოადგენდა მრავალი ისტორიკოსის ერთ-ერთ პრეროგატივას, გავიხსენოთ ტაციანი (სირია, ≈ 120 - სირია [?], ≈ 180). მისი *Diatessaron*, იესოს ცხოვრების მთავარი მოვლენების უწყვეტი თხრობით, რომელმაც ფართო გავრცელება ჰპოვა და რომლისგანაც მხოლოდ რამდენიმე ფრაგმენტი შემორჩა სირიულ ენაზე. ეფრემ სირიელმა თავის ერთ-ერთ კომენტარში დიდი სიფრთხილით აღადგინა იგი, მაგრამ სირიულ ენაზე ეს ტექსტი დაიკარგა, სამაგიეროდ, არსებობს სომხურ ვერსიაში.

თხრობილი გამოცხადებების შერჩევის მიზეზებს². უძველესი დროიდან მოყოლებული, მორწმუნეები დაჟინებით კითხულობდნენ: იხილა ღვთისმშობელმა აღდგომილი ძე? იმყოფებოდა იგი აღდგომის ბაღში, რომ თავად ეუწყა ეს მოვლენა ცარიელი სამარხისკენ გაქცეული მოციქულებისთვის? სად იმყოფებოდა ღვთისმშობელი მარიამი აღდგომის დღეებში? სად იმყოფებოდა იმ დროს, როცა ასეთი, თუნდაც ნაქადაგარი, მაგრამ მაინც მოულოდნელი მოვლენა დატრიალდა? ყველა ეს „შეხვედრა ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს აღდგომის პერიოდის ნირვა-ლოცვებზე, მოყოლებული იმ საკვანძო შეხვედრიდან, რასაც ლუკა აღწერს ორი ემაუსელის ეპიზოდში (ლუკ. 24:13-35). ის სიჩუმე, რასაც ღვთისმშობელ მარიამზე ვგრძნობთ ტექსტებში, რომლებიც აღდგომილი უფლის გამოცხადების მოვლენებს აღწერენ, ყოველთვის ბევრ კითხვას აჩენდა და პასუხებიც არაერთგვაროვანი იყო. მაინც როგორ გავიგოთ ეს „სიჩუმე“³ როგორ შეიძლება მოციქულთა პირველ საკრებულოში მყოფი ქალწული მარიამი (საქ.1:14) არ ჩაითვალოს იმ ადამიანთა რიგებში, ვინც მკვდრეთით აღდგომილ იესოს შეხვდა?⁴

² სახარებები მოგვითხრობენ აღდგომის მონმეობებზე პირველქმნილ საკრებულოებში და მოვლენათა უწყვეტი ჯაჭვით მიყვებიან პასექის დღის მოვლენებს. პავლეს, კორინთელთა მიმართ პირველ წერილში (თავი 15), თავის მხრივ, მოჰყავს გამოცხადებები, რომლებსაც „იურიდიული“ ძალა აქვთ; ისინი, რაზეც თვითმხილველებს ყოველმხრივ შეეძლოთ საფუძვლიანი ჩვენება მოეცათ, მის მიერ მოწოდებულ სიაში დედაკაცები აღარ სახელდებიან, ამ ფონზე, შეიძლება გავიგოთ, რატომაც არ არის ნახსენები მარიამი, იესოს დედა, კანონიკურ ან ოფიციალურ ტექსტებში გამოცხადების მონმეთა შორის.

³ „სახარებები არ ამბობენ. ხანდახან დუმილი მეტს ამბობს, ვიდრე სიტყვები, არყოფნა მეტზე მეტყველებს – ვიდრე ყოფნა... სხვა არაფერია თუ არა ფიქრისკენ, ძიებისკენ მოხმობა... თითქოს სიცარიელეა, არ გაისმის სიტყვა, რომელიც იმ საიდუმლო თავსაბურავს ეკუთვნის, მარიამს რომ შემოხვევია“. *Guardini R., La Madre del Signore, Una lettera, Morcelliana, Brescia, 1989, 55.*

⁴ იერუსალიმის საკრებულოში ღვთისმშობლის ყოფნა, ზოგიერთი მეცნიერისთვის, დასტურია იმისა, რომ იგი ქემმარიტად შეხვდა აღდგომილს. სწორედ ამიტომაც, ანუ ეკლესიაში მისი კუთვნილი როლის გამო, დგას იგი სანდო მონმეთა რიგებში. ის აღარ არის „მხარე“. „ცოცხალმა“ მას ისევე აჩვენა სხვა ადამიანები „როგორც მისი ძმები და დები: მარიამმა ყველა მი-

მ. გაბრიელე ბრაგანტინი

თუკი ახალი აღთქმის ავტორები არაფერს ამბობენ ღვთისმშობლის აღდგომილ ძესთან შეხვედრაზე, ალბათ ეს იმ ფაქტს უნდა მივანეროთ, რომ მსგავს მოწმეობას უფლის მკვდრეთით აღდგომის უარყოფელნი, მოჭარბებულად და უსაფუძვლოდ ჩათვლიდნენ; ასეთია ყველაზე გავრცელებული პასუხი. 1997 წლის 21 მაისს შემდგარ *კატეხიზისში*, რომელიც მაშინდელმა პაპმა იოანე პავლე II-მ ღვთისმშობელს მიუძღვნა, ნათქვამია: „მართებულია [...] იმაზე ფიქრი, რომ, სავარაუდოდ, დედა იყო პირველი, ვისაც აღდგომილი იესო გამოეცხადა“⁵ ანუ, უფალი არა მხოლოდ მარიამს გამოეცხადა, არამედ მისი პირველი გამოცხადება სწორედ დედის წინაშე მოხდა. პაპმა განმარტა ისიც, რომ მარიამის არყოფნა იმ დედაკაცთა ჯგუფში, რომლებიც ცისკარზე სამარხისკენ გარბიან (მარკ. 16:1; მთ. 28:1), შეიძლება იმასაც მიანიშნებდეს, რომ მარიამი უკვე კიდევ შეხვდა იესოს. ფაქტობრივად, ეს ჰიპოთეზა, გარკვეულწილად, დასტურება იმ ფაქტითაც, რომ აღდგომის პირველი მოწმეები, უფლის ნებით, სწორედ დედაკაცები იყვნენ, თავიანთი შეურყეველი რწმენით, ჯვრის ქვეშ ერთგულად დარჩენილები. „მარიამს – ეკლესიის თესლს, უთუოდ, პირველი მას გამოეცხადა ღვთის ძე“, – ასე აცხადებს ცნობილი თეოლოგი ჰანს ფონ ბალთაზარი.⁶

თავად ის ფაქტი, რომ დედის წინაშე აღდგომილ ქრისტეს შესაძლო გამოცხადებაზე სახარებები სდუმან, იმით აიხსნება, რომ მას „გადაჭარბებულ“ (პირდაპირი გაგებით) მოწმეობად აღიქვამდნენ.⁷

ილო, მისი ძის მსგავსად მანაც მიუტევა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იუდას შემცვლელის არჩევისას ორი პირი იყო – იოსები, ბარნაბად წოდებული და მათათია, რამეთუ „ჩვენთან ერთად იყვნენ მისი აღდგომის მოწმენი“ (საქ. 1:22), თუმცა არ საუბრობენ იქ მყოფ მარიამზე.

⁵ < ibit.ly/PKvP > [10.09.2021]

⁶ von Balthasar H.U., *Triple couronne; Méditations sur le rosaire, Le salut du monde dans la prière mariale, Culture et Vérité, 1992, 96.*

⁷ ინგლისელი ბენედიქტელი ბერი, ედმერ სენტერბერი (X ს.) აცხადებს: „თუკი (სახარებებში) დაინერებოდა, რომ უფლის დედას, სამყაროს დედუფალს, ისევე ეჩვენა მკვდრეთით აღდგომილი, როგორც ნებისმიერ სხვას და ამ გზით აუნყა მკვდრეთით აღდგომაზე, რომელი მკითხველი არ ჩათვლიდა ამას ზედმეტ მოწმეობად?“. *Testi mariani del secondo millennio, Vol. 3, Autori medievali dell'occidente secc. XI-XII, Città Nuova, Roma, 1996, 121.*

განმარტებებს შორის, საინტერესოა III საუკუნეში, იპოლიტე რომაელის აზრი: ის ფაქტი, რომ მკვდრეთით აღდგომილი იესო მორწმუნე დედაკაცებს ეჩვენება, გვაფიქრებინებს, რომ აღდგომის ბაღში მარიამი არ იმყოფება, რადგანაც ის უკვე სრულად შეერთებოდა ძის ზეციურ დასს. ამიერიდან, დედა ახალ განზომილებაშია, სრულიად აღმატებულში მისგან, რითაც ადამიანს ძალუძს მკვდრეთით აღდგომის აღქმა. კიდევ უფრო საინტერესოა მეორე, იმავდროინდელი განმარტება, რის მიხედვითაც, მარიამი ხარებამდე აუწყებს ძეს, ხოლო მორწმუნე დედაკაცები აღდგომის შემდეგ აუწყებენ მკვდრეთით აღდგომილს. სახარებები, აღდგომის ჟამზე თხრობისას, პირდაპირ არ საუბრობენ ღვთისმშობელზე, რადგანაც მარიამისთვის ხარება პასექის დასაწყისს წარმოადგენს. ამიტომაც, ის, რაც აღდგომა-ორმოცდაათიანობის დღიდან იწყება, უფრო მეტად დედაკაცებზე, მოციქულებზე და მონაფეებზე მონაშობს, ხოლო ღვთისმშობლისთვის ეს მონაშობა სათავეს იღებს ნაზარეთში ნაუწყები ხარებით, ანუ *ახალი აღთქმის* დაწყებით. განა სიყრმისეული ჟამის სახარებები (ლუკ. 1-2; მათ. 1-2) სააღდგომო უწყებას არ ემყარებიან და აღდგომის შემდეგ არ გამოიცნენ?⁸ ეს კი ნიშნავს: ხა-

⁸ ამასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ ისევე როგორც აღდგომის მადლით გასხვივსებული სამოციქულო ეკლესია ეძიებს ქრისტეს ისტორიულ წარმომავლობას თვით ბეთლემამდე (ლუკ. 2:15) და აღდგომის უნიკალური ნიშნით აღმოაჩენს შობის ნიშანს, ასევე წარმოგვიდგენს ყრმობის ამსახველი სახარებები ღვთისმშობელს, ყრმა იესოს ტაძარში პოვნის დღიდანვე იმ პიროვნებად, ვინც ყველაფერი საკუთარ გულში დაიმარხა (ლუკ. 2,51) და ვინც მისი პასექით ცხოვრობს, ვინც უკვე კურთხეულია შობის საიდუმლოს ძალით, ვისშიც პირველქრისტიანული თემი ხედავს სავსე რწმენას, საპასექო რწმენას და ეს მარიამში უკვე ხარების წუთიდან ცოცხლობს: მისი თანამონაწილეობა ხსნის საქმეში უკვე საპასექოა უფლის ხარების დღიდანვე (ლუკ 1,38; მდრ. 8,21 და პარ.; LG 53; 55; 61-62; MC 17; 57). ტყუილად როდის აუწყებდა რომის უძველესი ქრონოგრაფი და ლიტურგიული კალენდარი (დაახლ. 336), უფლის შობის დღისთვის, თავის რუბრიკაში: "*Natale Domini in carne. Pascha*". პასექის ქვეშარიტი დასაწყისი, შობა თავის მწვერვალს ჯვარზე აღწევს და ნაყოფს მოიტანს აღდგომის ცისკრიდანვე, ხოლო ღვთისმშობელი, არა მარტო ბეთლემში, აქაც, გოლგოთაზე შობს თავის ძეს. ბეთლემში შობა ღვთაებრივი დედობის დაწყებას აღნიშნავს (ლუკ. 1-2), რომელიც მთელი სივრცისიგანით გამოჩნდება აღდგომის მოვლენაში. ფაქტობრივად, აღდგომის დღიდან, ქრისტე

რება ანიჭებს ღვთისმშობელს თავის საპასეჟო მისიას. მარიამი ქრისტეს მოწმეა არა მხოლოდ აღდგომის ცისკრიდან, არამედ ბეთლემში მისი შობის დღიდან. ვინაიდან ის იყო პირველი, ვისაც ეხარა, ის არის პირველი მახარობელი ელისაბედისა და ზაქარიას ოჯახში (ლუკ. 1:39-45). მონახულების დღეს ელისაბედი და იოანე ნათლისმცემელი, მარიამის მუცლად მყოფ უფალს მიესალმებიან (ლუკ. 1:41-44), ისევე როგორც მონაფეები იღებენ პასეჟე უფალს და აუწყებენ მას სულთმოფენობის დღეს.⁹ შესაძლოა თავად იმ ფაქტმა, რომ მარიამი, ხარების დღიდანვე ცხოვრობს და აუწყებს პასეჟის სულს, განაპირობა ის, რომ მახარობლებმა უფრო მეტი დანიშნულება მიანიჭეს მორწმუნე დედაკაცებს და მონაფეებს, რომლებიც აღდგომის ცისკარზე ცარიელი სამარხისკენ გარბიან.

წმინდა იოანე პავლე II 1988 წლის სააღდგომო გზავნილში (3 აპრილი) *Urbi et Orbi* სხვაგვარად განმარტავდა ამ საკითხის ირგვლივ გამეფებულ სიჩუმეს: „განა რომელ მთხრობელს შეეძლო იმ მდგომარეობის აღწერა, რაც მშობელი დედის გულში აღიძვროდა მკვდრეთით აღდგომილი შვილის მიმართ?... აჰა, დღეს მთელი ეკლესია შენ შემოგყურებს მარიამ. თუნდაც ვერ გხედავდეთ მათ შორის, ვისზეც სააღდგომო დღის ამბები საუბრობს, ყველა შენ შემოგყურებთ, შენს გულს ვუყურებთ“.¹⁰

მკვდრეთით აღდგომილი იესოს შესაძლო გამოცხადება დედის წინაშე, ვერც იქნებოდა დამაჯერებელი, რამეთუ საკუთარი ტკივილით გავლენას მოახდენდა მასზე; მაგრამ, თუკი ეს მოხდა, მარიამმა ვერ შეძლო ან არ ისურვა ამის თქმა იესოს მონაფეებზე, ამი-

საუკუნოდ იქადაგება როგორც იესო ნაზარეველი, ნაზარეველი ქალწული-საგან შობილი. ამ ჭრილში შეიძლება განვაცხადოთ: მაშინ, როდესაც მარიამი ხსნის დასაწყისს ხედავს, მონაფეები მის დასასრულს ხედავენ. ფონ ბალთაზარი (H.U. von Balthasar) წერს: „როდესაც მონაფეები ზეთისხილის მთაზე მოწმენი ხდებიან იესოს მიწიდან გაუჩინარებისა ზეციერი მამისკენ... ისინი „ხედავენ“ იმ მოვლენის საბოლოო უხილავ წერტილს, რომლის დასაწყისიც მარიამმა ანგელოზთან საუბარში „იხილა“ ხარების წუთებში“. შდრ., <ibit.ly/Stdu> [10.09.2021]

⁹ შდრ., Crouzel H., *La mariologia di Origene*, Edizioni Patristiche, 1968, 81-85.

¹⁰ <ibit.ly/Q90d> [10.09.2021]

ტომაც ვერ მოხვდა იგი აღდგომის დღის მონმეთა წრეში. შეიძლება შეიქმნას წარმოდგენა, რომ ეს მოხდა აღდგომის მომდევნო დღეებში, ხოლო მოციქულთა საქმეების წიგნი ამალლების და სულთმოფენობის ჟამზე, ვარაუდობს, რომ მარიამი მონმე იყო არა მარტო პასექის მოვლენის მეორე დღისა, არამედ ასევე პირველის. ეს გვაძლევს დასკვნის საშუალებას, რომ მარიამი იყო ერთ-ერთი მონაფე და, მათ მსგავსად, ისიც აღდგომის ფაქტის მონმე იყო, რომლის ხილვაც მხოლოდ მოციქულებს და კონკრეტულ მონმეებს როდი ხვდათ წილად. თუმცა, ქრისტიანული ხედვა უფრო მეტსაც წარმოიდგენს, მისთვის დაუშვებელია, არ შემდგარიყო მკვდრეთით აღდგომილის გამოცხადება დედის წინაშე, იგი ერთ-ერთი პირველთაგანი უნდა ყოფილიყო, იმ ფსიქოლოგიურ-ემოციურ მოტივთა გამო, რასაც მიზეზებად იშველიებდნენ. თითქოს ყველაფერი იმ გულის ინტუიციას ენდობოდა, რომლის უცნობი მიზეზები თავად მიზეზებშია. სინამდვილეში, არსებობს ანტიკური, ნაკლებად ცნობილი და ნაკლებად მიღებული ისტორიული წყაროები, რომლებიც ამონმებენ, რომ მარიამს იესო სწორედ აღდგომის შემდეგ გამოეცხადა. ესენია პატრისტიკული ტექსტები და აპოკრიფული სახარებები.¹¹

II. ეკლესიის მამები¹² და ლათინი და აღმოსავლელი თეოლოგები

სინამდვილეში, მკვდრეთით აღდგომილი იესოს შესხვედრა თავის დედასთან, კარგად ნაცნობი თემაა როგორც დასავლურ, ასევე აღმოსავლურ ღვთისმოსაობაში. ამის ლიტერატურული მტკიცებულებები ჩვენ მოგვეპოვება ქრისტიანობის პირველივე საუკუნიდან, ნმინდა ეფრემ ასურის (306-373, ე.წ. მარიამის მგალობელი) სახით, რომელიც პირველი ეხება ამ თემას. ჩვენ ვერც ფაქტის ისტორიულობაში შევიტანთ ეჭვს და ვერც გამოგონილს გავამართლებთ.¹³

¹¹ შდრ., < a href="http://17rk"> [16.09.2021]

¹² შდრ., Quasten J., *Patrologia*, Vol. I, Marietti, 1980, 11-28.

¹³ ტატიანეს დიატესარონში შეკრებილი სახარების პასაჟების თავისებური ინტერპრეტაციით, ეფრემი გამოარჩევს მარიამს, რომელიც არის მაგდა-

ლიდან და რომელიც სამარხს ტოვებს, რათა აუწყოს მოციქულებს იესოს სხეულის გაქრობის შესახებ, და მეორე მარიამს, ვინც სამარხზე მოციქულებთან ერთად მიდის და იქ რჩება, სანამ აღდგომილი არ ეტყვის: „ნადი ჩემს ძმებთან და ასე უთხარი: ავდივარ მამაჩემთან და მამათქვევთან, ჩემს ღმერთთან და თქვენს ღმერთთან“. ეს მარიამი არის იესოს დედა. ამ ამბავს აქვს თავისი ხიბლი, მაგრამ ის, სამწუხაროდ, მიუღებელ განსხვავებას ემყარება, რადგანაც იოანეს სახარების მონაკვეთის მთავარი გმირი თავიდან ბოლომდე არის მარიამ მაგდალელი, რაც ასევე დასტურდება მარკოზის სახარების ფინალიდან, მაგრამ ალბათ ეფრემმა არ იცოდა, რადგან ტატიანეს შეეძლო არ შეეყვანა თავის დიატესარონში, როგორც იოანესა და ლუკას ასლი. თუმცა, ეფრემი, როგორც სანდო წყარო, სხვა საკითხებშიც, ერთგვარ ხიდად იქცა პალესტინის ტრადიციასა და დიდ ეკლესიას შორის, თავისი მშვიდობიანი გამოსვლებით, რაც წინა ტრადიციების ნაწილობრივ ცოდნაზე დაფუძნებული. მას, როგორც მეცნიერს და მამას, აშკარად ჰქონდა უძველესი ცნობა, თუმცა წმინდა წერილთან მისი შეთანხმების საჭიროებასაც განიცდიდა, ანუ მწირი ზეპირი ინფორმაციის შეთანხმებას წერილობით ტექსტთან, რაც მან იცოდა. ამრიგად, მან გამოიყენა ის შესაძლებლობა, რომ მოეწოდებინა ან შეენარჩუნებინა ეგზეგეზი, რომელიც მარიამს მიაწერდა პრიმატს გამოცხადებებში და სააღდგომო უწყებაში. ეჭვი არ უნდა გაჩნდეს თავად ეფრემის ხელთ არსებული ცნობის ისტორიულობაზე: მარიამის განდიდების სურვილი, რაღა თქმა უნდა, საკმარისი იყო იმისათვის, რომ მარიამსა და საღვთო წერილს შორის შექმნილიყო კავშირი, მაგრამ ეს ვერ ამართლებს წარმოსახვას ისეთ მოაზროვნეში, როგორიც იყო სირიელი მამა. რასაკვირველია, თუკი ეფრემ სირიელი საჭიროდ ჩათვლიდა დედასთან აღდგომილის გამოცხადების შიშველი ამბავი დაეყენებინა მაგდალელის ერთ-ერთი გამოცხადების გვერდით, მსგავსი რამ არსებობდა ისტორიკოსის წინა ტრადიციაში.

შდრ., <ly/117rk> [16.09.2021]

ეკლესიის სხვა მამები, როგორცაა, იოანე ოქროპირი და გრიგოლ ნოსელი, ამ ინტერპრეტაციას მიყვებიან; იხ., Galot J., *L'apparizione di Cristo risorto a Maria*, *La Civiltà cattolica*, 1998, II pp.15-26; *Memorie Di Varia Erudizione Della Società Colombaria Fiorentina*, Volume 2. 1752, pp.84-88

უნდა გვახსოვდეს, თუ როგორ გვთავაზობს სირიულ-დასავლური ლიტურგია ამ მხრივ სხვა ჩვენებებს. მწუხრის ლოცვებში ანონიმი ავტორი ამბობს: „კვირას, მარიამი გაიქცა მხოლოდშობილის სამარხთან, გოდებდა და ცრემლებს ღვრიდა ბოროტთა ხელით მოკლულ შვილზე. მაგრამ მან იხილა ცარიელი საფლავი და ანგელოზი სამარხის მარჯვნივ მჯდომარე. მან გააღო ცეცხლოვანი პირი და სიხარულით მიუგო სრულიად კურთხეულს: „ძე მეფისა აღდგა, ის ზის მის მარჯვნივ და ამალღებული სულები უგალობენ საფლავიდან ამოსულ ღმერთს: შენ ხარ კურთხეული!“.

ერთ-ერთ ღამის საგალობელში ნათქვამია, რომ მარიამი საფლავზე მიდის სხვა ქალებთან ერთად: „მარიამი და მისი თანმხლები პირები მივიდნენ

კომენტარში შეიძლება ითქვას, რომ ქრისტიანული მსოფლმხედველობა დარწმუნებით აღიარებს ამ ფაქტს: მკვდრეთით აღდგომილი იესოს პირველი გამოცხადება დედასთან სრულიად აშკარაა. როგორც მან გაიზიარა ჯვარცმის ტკივილი დიდ პარასკევს, მასვე, პირველს უნდა ეხარა აღდგომის დიდებით. ეფრემ ასურის აზრით, მარიამი, მკვდრეთით აღდგომილი ძის პირველი მახარობელია. სწორედ მის ნაწერებში ვკითხულობთ მკვდრეთით აღდგომილის მონოდებას დედისადმი: „წადი ჩემს ძმებთან და უთხარი: „მამაჩემსა და მამათქვენთან ავდივარ“ (...). მარიამი, როგორც იმყოფებოდა პირველ სასწაულზე (კანაში?), ასევე მიიღო აღდგომის პირველნაყოფი ჯოჯოხეთიდან“. IV-V საუკუნის სხვა მამების მიერ გაზიარებული ეს ტრადიცია, დღემდე გამყარებულია აღმოსავლეთში. ერთსულოვნები არიან ამაში: როგორც კანაში იმყოფებოდა მარიამი, სადაც იესოს პირველი სასწაული მოხდა, ასევე მიიღო მან სასწაულთა შორის სასწაულის პირველნაყოფი: აღდგომა. დედამ იხილა აღდგომილი ძე, სამარხიდან დიდებით გამოსვლისას.¹⁴

წმინდა ამბროსი (339-340-397) დასძენს, რომ „მარიამმა პირველმა იხილა და პირველმა ირწმუნა „ქრისტეს აღდგომა“.¹⁵

ლათინი პოეტი სედულიუსი (Vs.), თავის „Carme pasquale“ ამბობს: „უფალმა თავისი მზერა უპირველესად [მარიამს] მიაპყრო, როდესაც დღის შუქზე საჯაროდ გამოეცხადა, რათა ღიად სასწაულთა მეშვეობით, სათნო დედა, ვინც ოდესღაც წუთისოფელში უფლის მოსვლის გზა იყო, მისი დაბრუნების ნიშნად ქცეულიყო“.¹⁶

VII-ში, ეპისკოპოსი კესარიოს არლელი, როდესაც თავის ერთ-ერთ ქადაგებაში მარიამს მთვარეს ადარებდა, ხოლო წმინდა

ცხოველმყოფელ საფლავთან; მათ იხილეს ანგელოზი, რომელმაც მიმართა: „ქრისტე დიდებით აღდგა მკვდრეთით!“ კვირას, დილით, მარიამი ტირილით მიდის სამარხისკენ თავის თანმხლებ პირებთან ერთად. მაშინ, უფალი გამოეცხადა მათ და უთხრა: „მშვიდობა თქვენდა! ეს მე ვარ, ნუ გეშინიათ; წადით და აუწყეთ ეს ჩემს მონაფეებს!“.

იხ., <t.ly/l17rk> [16.09.2021]

¹⁴ შდრ., <t.ly/Qkaz> [15.09.2021]

¹⁵ Ambrogio, De Virginitate liber unus, Paravia, 1954, 66, 1,3.

¹⁶ Testi mariani del primo millennio. Vol.3: Padri e altri autori latini. Città Nuova, 1996, p. 426.

მ. გაბრიელე ბრაგანტინი

იოსებს და თერთმეტ მოციქულს ადარებდა მზეს და ძვ. აღთქმის იოსების სიზმრის თერთმეტ ვარსკვლავს (დაბ. 37,9-13), დასძენდა, რომ ეს სიზმარი იესოს მკვდრეთით აღდგომით ახდა: „მზე, მთვარე და თერთმეტი ვარსკვლავი მას თაყვანს სცემდა, როდესაც აღდგომის შემდეგ წმინდა დედა, მთვარესაებრ და ნეტარი იოსები, მზესაებრ თერთმეტ ვარსკვლავთან ანუ ნეტარ მოციქულებთან ერთად, ქედს იხრის და მის წინ განერთხმის, და სისრულეში მოჰყავთ წინასწარმეტყველის თქმული: „ადიდეთ იგი, მზე და მთვარე, ადიდეთ იგი, ყველა ბრწყინვალე ვარსკვლავი (ფს.148.3)“.¹⁷

რომანოზ მელოდოსისთვის (ტკბილადმგალობლისთვის), უძველესი ბიზანტიელი პოეტების უდიდესი წარმომადგენლისთვის, მარიამმა პირველმა იხილა აღდგომილი ქრისტე. ღვთისმშობლის თანალმობის თემაზე დაწერილ საგალობელში, იგი იესოს ბაგეებიდან ამ სანუგეშო სიტყვებს უშვებს დედის მიმართ: „ესავდე, დედაო, რამეთუ პირველი იქნები, ვინც მიხილავს სამარხიდან გამოსულს“.¹⁸

წმინდა მაქსიმე აღმსარებელი (580-662) წერს: „მარიამი იყო პირველი, ვისაც ეხარა აღდგომა და ღირს იყო პირველს ეხილა ძე თვისი და უფალი – ღვთაებრივად ლამაზი ხილვა, ყოველი სანუკვარი ოცნების მწვერვალი – და ესმინა მისი საამო ხმა. მან რწმენით მიიღო თავისი ღვთაებრივი იკონომიის ყველა საიდუმლო; და როგორც ირწმუნა განხორცება, ასევე ირწმუნა მკვდრეთით აღდგომა. არა იმიტომ, რომ უმანკო და წმინდა დედა იყო, არამედ იმიტომ, რომ იგი მთელი თავისი სიყვარულით დარჩა მის გვერდით ვნების ჟამს, მისგან მიიღო სულიერი ძალა, რომ არ მომკვდარიყო მასთან ერთად. ამიტომაც, ახლა მასთან ერთად ცხოვრობს და მასთან ერთად არს განდიდებული. მან აუწყა მოწაფეებს, მეტადრე, მენელსაცხებლე დედაკაცებს. ხოლო თუ აღდგომის აღწერისას მახარობლებმა არაფერი აღნიშნეს ამის შესახებ, ეს მართებულად იყო. მათ შეგნებით გამოტოვეს დედის მოწმეობა, რადგან ყველამ იცოდა ამის შესახებ, ან იქნებ იმიტომ, რომ არავის ჰქონოდა აღდგომაში ეჭვის შეტანის საბაზი იმ უბრალო ფაქტის გამო, რომ დედამ იხილა

¹⁷ იქვე, 573-574.

¹⁸ შდრ. <1.ly/117rk> [16.09.2021]

და მანვე მოუთხრო [...]. ღვთისმშობელმა თავისი თვალით იხილა თვისი ძის აღდგომა და სიხარულით სავსე გაეშურა მონაფეებთან, რათა ქრისტეს ამალლების დღეს დალოდებოდა [...]. აღდგომასა და ამალლებას შორის არსებული დროის მანძილზე, უფალი არაერთხელ გამოეცხადა თავის უწმინდეს დედას, როდესაც ამას საჭიროდ თვლიდა და მუდამ ამშვიდებდა მას. სამაგიეროდ, მუდმივად არ ეცხადებოდა მონაფეებს; მხოლოდ მაშინ, როცა ეს აუცილებელი იყო [...]. მრავალი საიდუმლო შეაცნო მათ, დაჰპირდა სულიწმიდას და უბრძანა იერუსალიმში დარჩენა, ვიდრე ზეციდან არ შეიმოსებოდნენ ძალით. „გაიყვანა ისინი ბეთანიამდე, აღაპყრო ხელნი და აკურთხა ისინი“ (ლუკ. 24, 49-50). მათთან ერთად იყო წმინდა ღვთისმშობელიც. მართებულიც იყო მისი იქ ყოფნა: რამეთუ მისმა გულმა, რომელმაც ვნების მომენტში სხეებზე მეტად განიცადა და განუყრელი დარჩა მასთან, ახლა მისი ბრწყინვალე ამალლება უნდა ეხილა და მისით ეხარა¹⁹.

ასევე საინტერესოა ქართულ ხელნაწერებში დაცული მონაგობა, რასაც მაქსიმე აღმსარებელს მიაწერენ, თუმცა გარკვეული ეჭვები არსებობს; „უბინო დედა სამარხთან იდგა, ვერ ეყრებოდა მას: ყოველივე ნახა და მოისმინა, რაც ხდებოდა და რაც ითქმოდა... უფლის ნეტარი დედა, სიყვარულით დატყვევებული, განუყრელად სამარხთან იდგა: მან იხილა მისი დიდებული აღდგომა... და არა იმიტომ, რომ უმნიკვლო და წმინდა დედა იყო, არამედ იმიტომაც, რომ მასზე მზრუნველი დარჩა მის გვერდით ვნების ჟამს, მასთან ერთად სიყვარულით იტანჯა, მისგან მიიღო სულის ძალა მასთან ერთად რომ არ მომკვდარიყო. ან, მასთან ცოცხლობს და მასთან ერთად არის განდიდებული“. ეს ტექსტი ბერძნული ენიდან ითარგმნა ქართულად.²⁰

გიორგი ნიკომიდიელი (მცირე აზიის ეპისკოპოსი, მე -9 საუკუნე) თავის პოეტურ ნაწარმოებში ასე წერს: „...ძე მას აღდგომის ბრწყინვალეებას უცხადებს; და რადგანაც დედისადმი მონიწევა

¹⁹ San Massimo il Confessore, Vita di Maria, nn. 92-93, < t.ly/D__H> [17.09.2021]

²⁰ Serra A.M., Dimensioni mariane del mistero pasquale, Con Maria, dalla Pasqua alla Assunta, ed. Paoline, 1995, 168.

მ. გაბრიელე ბრაგანტინი

მართებს, თავისი პირველი გამოცხადებითაც მიაგებს პატივს. ამრიგად, ნუთისოფლის სიხარულის მიღება სწორედ მას მართებდა პირველს, ვინც ჩვენი სიხარულის სავესე მიზეზად იქცა: მას, ვისაც ზეციური საიდუმლოებები მიენდო; მას, ვისი გულიც უთვალავჯერ განგმირეს მახვილით ქრისტეს ვნების ჟამს. ასეც უნდა ყოფილიყო: როგორც ღვთის ძის წამება გაიზიარა, ასევე უნდა განეცადა ღვთიური სიხარული“.²¹

სხვა ბევრმა მამამ, გარდა უკვე ნახსენებისა, როგორც ლათინმა, ასევე აღმოსავლელმა, დაადასტურა ეს ჭეშმარიტება (ნმინდა პაოლინი ნოლა, ისააკ ანტიოქიელი, ეადმერო, ამედეო ლოზანელი, ჰონორიუს აუტუნელი, ჯოვანი ევქაიტა, გიორგი ნიქომიდიელი, სიმეონ მეტაფრასტი, ს. ბრუნო სენიელი, რუპერტ დი დეიცი, სიქარდო კრემონელი, ს. ჯოვანი თესალონიკელი და სხვ.), სხვადასხვა არგუმენტით, მაგრამ მაინც, ისინი ამ ჭეშმარიტებას მხარს უჭერენ.²²

„მარიამმა, – როგორც წმ. ბერნარდო აღნიშნავს – ყველასგან უპირველესმა იხილა უფლის მკვდრეთით აღდგომა“.²³

რუდოლფო საქსონელი (დაახლ. 1295-1377) ამგვარ შედარებას ახდენს: „ქრისტე პირველ რიგში თავის დედას გამოეცხადა არა იმიტომ, რომ მისი აღდგომა ენახა, არამედ მისი ხილვით სიხარული მიენიჭებინა... ჰოი, მარიამ, ღვთისმშობელო და მიმადლებულო ქალწულო, შენზე მავედრებელი ყოველი ლატაკის ნუგეშო, იმ დიდი სიხარულით ნუგეშცემულო, როს მესამე დღეს მკვდრეთით აღდგომილი უფალი იხილე, მანუგეშე მე და შემენიე, შენი მხოლოდშობილი ძისა და ღმერთის წინაშე, უკანასკნელ ჟამს, როს ხორციტა და სულით აღდგები და ყველა ჩემი საქციელის გამო პასუხს ვაგებ,

²¹ *Testi mariani del primo millennio*. Vol.2: Padri e altri autori bizantini (secc. VI-XI), Città Nuova, 1989, 768.

²² Serra A., *Dimensioni mariane del mistero pasquale*. Con Maria, dalla Pasqua all'Assunta, ed. Paoline, Milano, 1995, 38; GASPARI S., Gaspari S., *Testimone privilegiata del Risorto*, in *Madre di Dio*, 2007, fasc. 4.

²³ Bernardo Sermo IN RESURRECTIONE DOMINI. Cfr

<ty/hFYe> [17.09.2021]

რათა შენი მეოხებით, ქალწულო დედაო, გავექცე საუკუნო სას-
ჯელს და სრულად ვეზიარო საუკუნო სიხარულს“.²⁴

თვით წმინდა ბერი გრიგოლ პალამა (+1359) კვირის ერთ-ერთ ქადაგებაში წერს: „სწორად და სამართლიანად მიიღო ღვთისმშობელმა უფლისგან, ადამიანთა შორის უპირველესმა, აღდგომის სასიხარულო უწყება. მან, უპირველესმა, იხილა და იგემა მისი ღვთიური სიტყვა; არა მხოლოდ იხილა თავისი თვალებით და მოისმინა თავისი ყურით, არამედ ის იყო პირველი და ერთადერთი, ვინც ხელებით შეეხო ხელუხლებელ ფეხებს, მიუხედავად იმისა, რომ მახარობლები ამაზე მკაფიოდ არ მიანიშნებენ. მათ არ ისურვეს დედის მოწმედ მოყვანა, რათა ამით ეჭვის საფუძველი არ მიეცათ ურწმუნო ადამიანებზე... მაგრამ, როგორც ვვარაუდობ, და ამის საფუძველს ყველა მახარობელი მადლევს, როგორც უკვე ვთქვი, პირველი, ვინც მის სამარხთან მივიდა, ვინც მისთვის იყო ძე და ღმერთი, სწორედ ღვთისმშობელი იყო, რომელსაც მარიამ მაგდალელი ახლდა. ამ ცნობას, უპირველეს ყოვლისა, ვჭეტიდები მახარობელი მათესგან, რომელიც ამბობს: „მარიამ მაგდალელი და მეორე მარიამი – რომელიც, რა თქმა უნდა, იყო ღვთისმშობელი – მოვიდნენ სამარხთან. და იყო ძლიერი მიწისძვრა ... ღვთისმშობელი იმყოფებოდა იმ დროს, როდესაც მიწისძვრა მოხდა, ქვა გადაგორდა, სამარხი გაიხსნა და მცველებიც გამოჩნდნენ, თუნდაც შიშისგან შეძრწუნებულნი. მიწისძვრის შემდეგ კი, გონზე მოსულები, გაიქცნენ; ხოლო ღვთისმშობელი, უშიშარი, ხარობდა ამის დანახვაზე. მეჩვენება, რომ მისთვის სიცოცხლის მომტანი სამარხი იყო პირველი, რაც გახსნა; პირველად მისთვის, ხოლო მის მიერ ჩვენთვის ყველაფერი გაიხსნა, რაც ზემოთაა, ცაში და რაც ქვემოთაა, მიწაზე; მისთვის ანგელოზი ზეციდან აგზავნის კაშკაშა ნათებას. მიუხედავად იმისა, რომ ჯერაც ბნელოდა, ანგელოზის მიერ მოვლენილმა კაშკაშა სინათლემ მას დაანახა არა მხოლოდ ცარიელი სამარხი, არამედ დამარხულის ნახვევები, რაც მრავლისმეტყველი მოწმეა იმის გამო-

²⁴ შდრ., Marranzini A., *Il Cristo Risorto è apparso anzitutto a Maria sua Madre?* in Vincenzo Zoccali (A cura di) , *Memoria e Profezia. Nel XX anniversario di fondazione dell'Istituto Superiore di Scienze Religiose di Reggio Calabria*, 1994, 35.

მ. გაბრიელე ბრაგანტინი

ღვიძებაზე, ვინც დამარხულ იქნა [იოანე 20,6]. მახარობელი ანგელოზი, აქაც, გაბრიელი იყო; სამარხისკენ მიმავალმა ღვთისმშობელმა იხილა ის ანგელოზი, ვინც დასაბამიდან აუწყა: „ნუ გეშინია, მარიამ! მაღლი ჰპოვე ღმერთთან“ [ლუკ. 1:30], აქაც ჩქარობს ანგელოზი, რომ კვლავ ახაროს მარადქალწულს კეთილი უწყება მის აღდგომაზე, ვიც მისგან იშვა კაცის თესლის გარეშე, ქვა გადაგორდა, ცარიელი სამარხი და სახვევები გამოჩნდა, რათა დაემტკიცებინა სასიხარულო ამბავი... ღვთისმშობელი სიხარულს შეეპყრო, რამეთუ მოესმა ანგელოზის სიტყვები და თავად იქცა ნათებად, რამეთუ იყო სრულიად წმიდა და ღვთის ნებისამებრ, მიმადლებული. მარიამი სრულად უწყოდა ჭეშმარიტებას და ერწმუნა მთავარანგელოზს, რამეთუ თავისი სათნოებით მაღლცხებული ადამიანი იყო. განა შეეძლო, არ ესმოდეს მომხდარის არსი, ის ხომ მოვლენათა შუაგულში იყო, ქალწული ღვთაებრივი სიბრძნით? მან იხილა მინისძვრა, ძლიერი მინისძვრა, ციდან ელვისებურად დაშვებული ანგელოზი, გაქცეული მცველები, გადაგორებული ქვა, ცარიელი სამარხი, ჯერ კიდევ ერთად დადებული სახვევების დიდი სასწაული, მირონით და ალოეს სურნელით გაჟღენთილი, სხეულგამოცლილი, რასაც შემოხვეოდა... ხედავთ, რომ მარიამ მაგდალელზე ადრე, იყო ღვთისმშობელი, ვინც დაინახა ის, ვინც ჩვენი ხსნისათვის სხეულით ევნო, დაეფლა და აღსდგა? დანერილია: „ისინი მიუახლოვდნენ, მის ფეხებს ემთხვივნენ და თაყვანი სცეს“ (მათ. 28: 9 ბ). მხოლოდ ღვთისმშობელმა, ვინც მარიამ მაგდალელთან ერთად მოისმინა ანგელოზისგან აღდგომის უწყება, გაიგო ამ სიტყვების ძალა.

ანალოგიურად, როდესაც სხვა დედაკაცებთან ერთად შეხვდა მას, ვინც იყო ძე და ღმერთი, უპირველესად მან იხილა და აღიარა აღდგომილი, თაყვანი სცა და მის ფეხებს ემთხვია და გახდა მისი მოციქული მოციქულთა შორის [შდრ. მათ. 28, 10]. იოანესგან ვიგებთ, რომ მარიამ მაგდალელი არ ახლდა ღვთისმშობელს... აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ როდესაც, პირველად, იესო ეჩვენა დედას და მასთან მყოფ დედაკაცებს, მხოლოდ დედას დართონება მის ფეხებს შეხებოდა, თუმცაღა მათე ამ შესტს სხვა დედაკაცებზეც ავრცელებს [შდრ. მათ. 28, 9]. მას არ სურდა, სწორედ

დასაწყისში მოყვანილი მიზეზების გამო, ასეთ ვითარებაში ღიად წარმოეჩინა დედა მონმედ. მას შემდეგ, რაც მარად ქალწული პირველად მივიდა სამარხთან და პირველად მიიღო აღდგომის ხარება, ბევრი ქალი შეიკრიბა და მათაც იხილეს გადაგორეული ქვა და ისმინეს ანგელოზის უწყება; ამის შემდეგ, დაბრუნდნენ და სხვებს უყვებოდნენ ნანახს. ისინი, როგორც მარკოზი გვეუბნება, „გაიქცნენ სამარხიდან, რადგან შეძრწუნდნენ და გაოცდნენ. და არავის არაფერი უთქვამთ, რადგან ეშინოდათ“ (მარკ. 16: 8). დანარჩენებმა, რომლებიც უფლის დედას მიყვებოდნენ, მათაც იხილეს უფალი და მასთან გარკვეული დრო დაჰყვეს.²⁵

მკვდრეთით აღდგომილი უფლისა და ღვთისმშობლის შეხვედრის თემა წამოიწევს წმიდა ეგნატე ლოიოლას (1491-1556) სულიერი სავარჯიშოების წიგნში. რომელიც მეოთხე კვირის პირველ მედიტაციაში განჭვრეტს იმ ფაქტს, „როგორ გამოცხადა უფალი ჩვენი იესო ქრისტე ღვთისმშობელს“, რათა განჭვრეტაში მყოფმა პირმა მეორე და მესამე კვირის მსგავსად კი „ალარ იცხოვროს და იტანჯოს ქრისტესთან ერთად, არამედ უკვე აღდგარი უფალი მიიღოს, რამეთუ იგი მასში ცოცხლობს“.²⁶

III. აპოკრიფული სახარებები

ზოგიერთ აპოკრიფულ სახარებაში²⁷, განსაკუთრებით კოპტურენოვანში, მაგალითად, როგორიცაა მოციქულ ბართლომეს სახა-

²⁵ Testi mariani del secondo millennio. Vol.1. Autori orientali (secc. XI-XX), Città Nuova, Roma, 2008, 350.

²⁶ Barrio M.L., La Parola Nel Dinamismo Ignaziano: L'ispirazione Biblica Degli Esercizi, Pontificio Istituto Biblico, 2008, 148, 119-121.

²⁷ ახალი აღთქმის აპოკრიფებთან მიახლოება ნიშნავს რელიგიური ლიტურატურის დიდი მემკვიდრეობის აღმოჩენას, გარკვეულწილად, პრობლემურ, თუმცა ასევე უკიდურეს ინტერესსა და მნიშვნელოვან აზრს ძველქრისტიანული ისტორიისა და ეკლესიის რწმენის განვითარებისათვის. ეს ნაწერები წარმოგვიდგენენ ადამიანებს, გარემოებებს, ფაქტებს, რომლებიც უფლის ფიგურას და ცხოვრებას, მის მინიერ ოჯახს უკავშირდებიან; ისინი გვესაუბრებიან მოციქულებზე, მონაფეებზე და სხვა პერსონაჟებსა და მოვლენებზე, რომლებიც ეკუთვნიან იმ ეპოქას, რაც კაცობრიობის ისტორიაში ქრისტიანობის დასაწყისად მიიჩნევა. მიუხედავად იმისა, რომ

რება (V და VIII სს.)²⁸ და გამალიელის სახარება (VI ს.), პოეტური და ხატოვანი ენით აღწერენ, რომ მარიამმა ვერ იპოვა იესოს სხეული სამარხში, „მაგრამ შემდეგ გამოჩნდა შუქი და, სანამ მისი გული განიხვებოდა და დამწუხრდებოდა, ძლიერი სურნელება მოეფინა სამარხის შესასვლელს მარჯვენა მხრიდან. თითქოს სურნელმა სიცოცხლის ხის ტყვეობას დააღწია თავი. ქალწული შემობრუნდა, სამარხის მარჯვნივ გაიხედა, საკმევლისკენ და დაინახა კეთილი ღმერთი, იდგა ლურჯი-მენამული უმშვენნიერესი სამოსით“²⁹.

აპოკრიფული ლიტერატურა არ განიხილება ღვთიური გამოცხადების წყაროდ, თუკი სერიოზულ გადამოწმებას, კრიტიკულ და ზუსტ განსაზღვრებას დაექვემდებარება, მაშინ ისინი შეძლებენ მოგვანოდონ ქრისტიანული საკრებულოების რწმენის, დოგმატიკის, რელიგიური აზროვნების, რწმენის და თაყვანისმცემლობის ღირებული მტკიცებულება. ადვილი გასაგებია ის მიზეზები, რის გამოც იესოს დედას პრივილეგირებული ადგილი ეკავა ახალი აღთქმის აპოკრიფებში. პირველი თაობის ქრისტიანებმა ძალიან ადრე შეიგრძნეს ღვთისმოსაობის სურვილი, რათა უფრო ღრმად გაცნობოდნენ მისი პიროვნების ბრწყინვალეობას და სიდიადეს, იმ როლის უნიკალურ მნიშვნელობას, რომელიც მან გადმოსცა ხსნის ეკონომიკაში. შდრ., Quasten J., *Patrologia*, Vol. I, Marietti, 1980, 101-142.

²⁸ აპოკრიფული ტექსტი კობტურ ენაზე, რომელიც თარიღდება V-VIII საუკუნემდე, ცუდად არის შემონახული, ებიზოდებს შორის არის დედა-კაცთაგან სამარხის მონახულება. ამ აპოკრიფულ ვერსიაში, რომელიც ცვლის იოანეს სახარებას, ღვთისმშობელი – და არა მარიამ მაგდალელი – ესაუბრება სამარხის მეზაღეს – და არა იესოს – რომელიც აღწერს მისი ძის აღდგომას, რაც სასწაულებრივად მოხდა და რომლის ილბიანი მონმე თავად იყო. შემდეგ იესო ჩნდება, ესაღმება დედას და ავალებს, რომ მისი აღდგომის ამბავი მოციქულებს მიუტანოს. ის ასევე ჰპირდება მშვიდობას მათ, ვისაც სწამს მისი სახელი და განსაკუთრებით მისი დედა, ვინც მაღლი ჰპოვა ღვთის თვალში. დედას ჰპირდება, რომ სიკვდილის შემდეგ მისი სული სამოთხეში მოხვდება, ხოლო სხეულს ანგელოზები დაიცავენ განკითხვის დღემდე, სამოთხეშიც. შდრ. იქვე, 118-119; <Iy/IK4H> [17.09.2021]

²⁹ პირველი ათასწლეულის მარიამისეული ტექსტები. ტ. 1: მამები და სხვა ბერძენი ავტორები. *Citt a nuova* 2001, გვ. 890. ამ ტექსტიდან შემორჩენილ ისტორიულ ინფორმაციას შორის, უდავოდ მოიპოვება აღდგომილის გამოცხადება დედასთან და ის იყო პირველი გამოცხადება აღდგომილი იესოსი. ავტორმა იცოდა ამ ფაქტის შესახებ, რაც მოხდა ან იგრძნო, მოვლენის მთავარი ემოციური და დოქტრინალური შედეგები – როგორცაა დედის სასონარკვეთა რწმენით ან მისი ჩვენება ძის ჯოჯოხეთში ჩასვლის შესახებ. ეს უძველესი მოძღვრება უკვე დამონმებულია მათე არამაიელში. სავარაუდოდ, მარიამმა განუცხადა მოციქულებს, რომ ძე მხოლოდ სამარ-

IV. თანამედროვე ავტორები

ეპისკოპოსი ტონინო ბელო (1935-1993) ასე საუბრობს მესამე დღის დედაკაცის მნიშვნელობაზე: „ამდენად, საჭიროება არ იყო იმისა, რომ იესო მარიამის წინაშე გაცხადებულიყო, რამეთუ მარიამი ერთადერთი იყო, ვინც მკვდრეთით აღდგომის წუთებში იმყოფებოდა. სიმართლე ითქვას, თეოლოგები გვეუბნებიან, რომ ეს მოვლენა ყველას თვალში კარგავს სარწმუნოებას, ეს მიუწვდომელი საიდუმლოს სიღრმეში მოხდა და, თავის ისტორიულ განვითარებაში არცერთი მონმე არ ჰყოლია. თუმცა, მე ვფიქრობ, რომ გამონაკლისი იყო: მარიამი, ერთადერთი მონმე უნდა ყოფილიყო ისტორიის ამ მოულოდნელი და უმაღლესი ცვლილებისა. სწორედ ისე, როგორც ერთადერთი მონმე იყო ღვთის სიტყვის განხორციელების წუთებში. როგორც ერთადერთი მონმე იყო თავისი ქალწულებრივი წიაღიდან მისი მოვლინებისა. და იყო ქალი, ვინც პირველმა მიაპყრო მზერა განკაცებულ ღმერთს. მსგავსადვე უნდა ყოფილიყო ერთადერთი მონმე გაქვავებული ქალწულებრივი წიაღიდან მისი გამოსვლისა: სამარხიდან, სადაც ჯერ კიდევ არავინ იყო დამარხული. და გახდა ქალი, ვინც პირველი მზერა მიაპყრო გალ-

ხის პირველი მოვლენების შემდეგ გაეცხადა, რადგანაც იგი არ წასულა შაბათის შემდეგ პირველ დღეს, ვინაიდან აღდგომამდე დრო არ ჰქონია. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი ყოფნა კანონიკური სახარებშიც იქნებოდა ასახული, თუნდაც სინთეზურად. მარიამზე დუმილი შეიძლება მიეკუთვნებოდეს იმ ფაქტს, რომ იგი, სხვებისგან განსხვავებით და რასაც გამაღიელების სახარება გვანვდის თავის ეპიზოდებში, არასოდეს შეუწყვეტია რწმენა და ამიტომაც, ახალი არაფერი ჰქონდა საუწყებელი, მხოლოდ ლოღინი თუ დარჩენოდა. რასაკვირველია, შაბათის შემდეგ რომ წასულიყო სამარხზე, ამას არ გააკეთებდა შვილის სხეულის ბალზამირებისთვის, რადგან იცოდა, რომ ის აღდგებოდა. თუმცაღა, მასსი იმდენად დიდი იყო მარიამის განდიდების სურვილი და თვით კანონიკურ სახარებებზე მალლა დაეყენებინა, რომ ღვთისმშობელს იმაზე მეტიც მიაწერა, ვიდრე ცნობილი იყო, რამაც მიჩქმალა არსებითი, ანუ მისი მყარი რწმენა, ეს კი ეკლესიისთვის მიუღებელი გახდა. იხ., <t.ly/ik4H> [10.09.2021]

მ. გაბრიელე ბრაგანტინი

მერთებულ კაცს. სხვანი კი აღდგომილის მონმენი იყვნენ. ხოლო ის, მკვდრეთით აღდგომის“.³⁰

მამა მ.ჯ. ლაგრანჟი (1855-1938), იერუსალიმის ბიბლიური სკოლის დამაარსებელი, აღდგომილი ქრისტეს გაცხადებებთან დაკავშირებით წერს: „ეკლესიის შვილთა ღვთისმოსაობა უწყევია იმ რწმენაში, რომ მკვდრეთით აღდგომილი ქრისტე, პირველ ყოვლისა, თავის უწმინდეს დედას გაეცხადა, მას, ვინც თავისი რძით გამოკვება, ვინც მასზე ზრუნავდა სიყრმეში, ვინც წუთისოფელს წარუდგინა კანას ქორწილში, თითქოს უნდოდა აღარ გამოჩენილიყო, გარდა ჯვრის ფერხით. ხოლო იესომ, თავისი დაფარული ცხოვრების ოცდაათი წელი მხოლოდ მას და წმინდა იოსებს შესწირა: განა შეეძლო მარიამს თავის გულში არ ჰქონოდა მხოლოდმობილი ძის ღმერთში დაფარული ცხოვრების პირველი წამი? მაგრამ სახარება ამ ფაქტით დიდად არ ინტერესდება, რამეთუ იგი ტრანსცენდენტულ წესრიგს მიაკუთვნა, სადაც მას, როგორც ღვთისმშობელს, ღმერთის მამობრიობასთან აკავშირებენ. იმ წესრიგის მორჩილებით, რაც თავად სულიწმიდამ ინება, მოდით, იესოს პირველი

³⁰ Bello T., *Maria, donna dei nostri giorni*, Molfetta, La Meridiana, 1988. საინტერესოა ის სიმარტივე, რითაც კვლავ წერს: „ბევრს უკვირს, რომ სახარება, მაშინ, როდესაც გვესაუბრება იესოზე, რომელიც აღდგომის დღეს მრავალ ხალხს გამოეცხადა, არაფერს ამბობს აღდგომილი უფლის დედასთან გამოცხადებაზე. მე ეს პასუხი მექნება: იმიტომ, რომ არ იყო საჭირო! ... თუ იესოსთან მარიამის კავშირი იმდენად ახლოს იყო, რომ მან სრულად გაიზიარა მისი გამომსყიდველი როლი, წარმოუდგენელია, რომ აღდგომამ – ხსნის მწვერვალმა, ძისგან განცალკევებით დააყენა იგი. ეს იქნებოდა ერთადერთი არყოფნა; და იგი დარჩება, უცნაურად დაუსაბუთებელ არყოფნად“. თითქოს ამის დასამტკიცებლად, ეპისკოპოსი ტონინო ბელო თავისი გამჭრიახობით იხსენებს, „მესამე დღის“ „წინასწარგანწყობას“, რაც მითითებულია სახარების ორ გვერდზე: იერუსალიმის ტაძარში იესოს პოვნა მისი დაკარგვიდან „მესამე დღეს“ და კანაში ქორწინების სასწაული, „ორი დღის შემდეგ ...“ (ანუ, მესამე დღე), სადაც იესო იყო დედასთან და მის მოწაფეებთან ერთად. „მაშასადამე, მარიამი არის ის, ვინც იმდენად არის დაკავშირებული „მესამე დღესთან“, რამდენადაც არის არა მხოლოდ აღდგომის პირმშო ქალწული, არამედ გარკვეულწილად, მისი დედაც“ (მდრ. იქვე, 94-95). <t.ly/x6fP> [11.09.2021] Belli-ssima anche la lettera pastorale 2000-2001 del card. Carlo M. Martini, arcivescovo di Milano, dedicata alla Madonna del Sabato santo. <t.ly/UQA7> [11.09.2021]

გამოცხადება განჭვრეტაში მყოფ პირებს მივანდოთ... ამ-რიგად, მცდარი როდი იქნება იმაზე ფიქრი, რომ იესო ღვთისმშობელს სწორედ აღდგომილი ცხოვრების გასხივოსნების ჟამს ეჩვენა, ხოლო ღვთისმშობელმა ისევე იხილა იგი, როგორც პეტრემ, იაკობმა და იოანემ იხილეს ფერიცვალების წმიდა მთაზე, და რომ მისი სიხარული კიდევ უფრო ამალღებული იყო, ვიდრე ამ სამი ბედნიერი მოციქულისა. არც იმაზე ფიქრი იქნებოდა მცდარი, რომ იესო მას დავითის ფსალმუნის **138,18** სახეშეცვლილი სიტყვებით მიესალმა, სწორედ იმ უძველესი ფორმით, რასაც აღდგომის წირვის შესავალ ანტიფონაშია: მე ვარ აღდგომილი და ისევ შენთან ვარ” (*Resurrexi et adhuc tecum sum*).³¹

ლაგრანჟის მსჯელობას თუ გავაგრძელებით, გავბედავთ და ვიტყვი, რომ მარიამზე გაცხადების ეპიზოდი იმიტომ კი არ მოჰყავს, რომ შეგვახსენოს უზენაესი ნეტარებანი იმ „ნეტართა, ვისაც

³¹ Lagrange M.J., *L'Evangelo di Gesù Cristo, Morcelliana, 1935, 646, 577*. მეცნიერი იხსენებს სხვა ელემენტებს, რომლებიც თვლიან, რომ იესოს პირველი გამოცხადება განკუთვნილი იყო დედისთვის. მარიამის რწმენა ურყევი დარჩა ყველაფრის მიუხედავად. ღვთისმშობელი გულში იმარსაჲდა მის სწავლებას, რაც აღდგომის შესახებ გამოცხადებას უკავშირდებოდა. კიდევ ერთი ელემენტი შეიძლება იყოს ღვთისმშობლის არარსებობაზე იმ დედკაცებს შორის, რომლებიც აღდგომის დილით საფლავზე გადიან. უცნაური იქნებოდა მაშინ, როცა სხვა ქალები შენუხდნენ საფლავზე წასასვლელად, რომ პატივი მიეგოთ იესოს მკვდარი სხეულისთვის და არ მიდის მარიამი, დედამისი. იგი იქ არ იყო, რადგან მან უკვე იცოდა აღდგომის შესახებ. ასევე შეიძლება ვიფიქროთ, რომ თუ იესო შეჩერდა და ეჩვენა ღვთისმოსავ ქალებს, ასევე დიდხანს შეჩერდა დედასთან, და სანამ ისინი გზად მიდიოდნენ სამარხისკენ, იესო მარიამთან იყო. კიდევ: თუ იესო პირველად გამოეცხადა დედაკაცებს (უპირველესად მაგდალელს) იმიტომ, რომ ისინი უფრო ერთგულები იყვნენ, და როგორ შეგვიძლია არ ვიფიქროთ, რომ ის პირველად ქალწულს გამოეცხადა, რომელიც ყველაზე ერთგული იყო? და ბოლოს: როგორც ღვთისმშობელმა გაიზიარა განუმეორებელი გზით ქრისტეს ვნება, რადგან მისი ტკივილი უტოლდებოდა იმ სიყვარულს, რაც მას თავისი შვილის მიმართ ჰქონდა, ასეთივე განუმეორებელი გზით გაიზიარებდა იგი ქრისტეს აღდგომას. აღდგომილი უფლის გამოცხადების მიღებით, ღვთისმშობელი იესოს ცხოვრების ყველა მოვლენის მონაწილეა. ეს გამოცხადება რომ არ ყოფილიყო, მისი განუმეორებელი და განსაკუთრებული მონაწილეობა იესოს ცხოვრების ყველა მთავარ მოვლენაში არასრულყოფილი იქნებოდა.

არ უხილავს, მაგრამ ირწმუნეს“ (იოან. 20,29), არამედ მათი, ვინც სპეტაკი რწმენის მოლიპულ ციკაბოზე ადის.

ყურადღებას იმსახურებს „მარიამის საიდუმლო სახარება“, უძველესი აღმოჩენილი ტექსტის ოსტატური ლიტერატურული ფორმით, ავტორი ახერხებს ახალი მუხტი მისცეს მარიამის ფიგურას და პიროვნებას, როგორც უშიშარ ქალს, რომელსაც უყვარდა და განიცდიდა, რომელმაც იხილა თავისი ერთადერთი ძის სიკვდილი და შეძლო მძიმე განსაცდელი დაეძლია რწმენისა და იმედის დაუკარგავად. აი, გვერდი, რომელიც აღწერს მკვდრეთით აღდგომილის დედასთან შეხვედრას: „ლოცვასა და გოდებაში, სანოლთან მუხლებზე მყოფს, ჩამეძინა. მხოლოდ ის მახსოვს, როგორც ოცდაოთხი წლის წინათ [გამოცხადებაში], უცებ ვიგრძენი, რომ ოთახში ვილაც იყო, გამეღვიძა. შუალამე იყო და ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ ჩემ გარშემო უჩვეულო შუქი ანათებდა, თუმცა ყველაფერი ბნელში გახვეულიყო. და ის დავინახე. არ მჭირდებოდა მეკითხა, ვინ იყო. ოდნავადაც არ შემპარვია ეჭვი. ის იქ იყო და ის ის იყო, ვინც ჩემს გაღვიძებას ელოდებოდა და ჩემს ძილზე ფიზიკობდა. „შვილო!“ – დავიყვირე და მის მკლავებში აღმოვჩდი. „დედა! – მომიგო მან, ხელს აწეწილ თმაზე მისმევდა – არ ინერვიულო. ყველაფერი დამთავრდა. მე ისევ აქ ვარ, შენთან ერთად“. შემდეგ მაკოცა. გარწმუნებ, იოანე, რომ ის იყო, ეს მისი მკლავები, მისი კოცნა, მისი ხმა, მისი მზერა იყო. „ჩვენ გავიმარჯვეთ, დედა. საბოლოოდ, ბოროტი დამარცხდა. საბოლოოდ, სიკვდილი აღმოიფხვრა. გამარჯვება ჩვენია და ეს არის საბოლოო. შენც მოზიარე ხარ ამისა [...], ჯვრის გვერდით, სავსე რწმენითა და იმედით. ეს იქნება შენი მარადიული მისია: იყო ყოველი კაცის დედა, ყველას აღმზრდელი, ყველას მანუგეშებელი, ყველას შუამავალი“. „ყველასი, შვილო? – მახსოვს, ოდნავ გაკვირვებით ვკითხე.“ დიახ, ყველასი – მიპასუხა მან. – იმიტომ, რომ არ მოვსულვარ მათ სახსნელად, ვინც უკვე დახსნილია, არამედ მათი, ვინც დაკარგულია. ყველასი, ჩემი ყველაზე საშინელი მტრების ჩათვლით, მათი, ვინც მომკლა. შენ ყველას დედა ხარ, მათი, ვინც არ მიცნობს და მათი, ვისაც ვეზიზღები. მე მოვკვდი ყველასთვის, ყველა მიყვარს და გამოვისყიდი. შენ კი, შენი გულიდან ვერ ამოაგდებ მათ, ვისაც მე ვიღებ [...]“. „დიდხანს დავრჩით

ასე ერთად, სანოლზე ჩამომჯდრები, ჩახუტებულეები და ხელიხელ ჩაჭიდებულეები. უკვე თენდებოდა, დამემშვიდობა. „მაგდალელთან და სხვებთან მივდივარ“, – მითხრა მან. დიდხანს და საბოლოოდ ჩამეხუტა და უკანასკნელად მაკოცა. შემდეგ ისე წავიდა, როგორც მოვიდა, უხმოდ, შეუმჩნეველად“.³²

დავიდე მონტანია (1937-2000 წწ.), მსახურების ორდენის ბერი, თავის ერთ-ერთ პატარა კომპოზიციაში გვთავაზობს თეოლოგიურ სინთეზს. მან დასვა კითხვა, ვისგან შეეძლო, გაეგო მარიამს იესოს აღდგომის შესახებ. ირგვლივ იხედება და ყველას ეკითხება: იოანეს – საყვარელ მონაფეს – შენ იყავი? ან შენ, მარიამ მაგდალელო, ან თქვენ დედაკაცებო, ყოველთვის რომ თან დაყვებოდით იესოს ... ან თქვენ ემაუსელო მონაფეებო, ან შენ თომა, ან თქვენ ანგელოზებო ცარიელი სამარხის გვერდით? ვინ აცნობა მარიამს ეს ამბავი? იქნებ შენ თავად იესო, აღდგომილო ძეო? თითოეულ კითხვაზე, მარიამი, აღდგომის შესახებ თავისი ცოდნიდან პასუხობს, ასევე მათი მოკლე პასუხებით, ვინც აღდგომა იხილა. ყოველთვის არის რაღაც დაბრკოლება, გადაუჭრელი. ასეა, როცა საბოლოოდ, ყველაზე ჭეშმარიტი პასუხი, რაც მარიამს შეუძლია გასცეს, არის ის, რაც მთელი მისი ცხოვრება სდევდა: ღვთის სიტყვის მოსმენა და ერთგულება. ამგვარად, მამა დავიდე მონტანიას, დასასრულს მოჰყავს მარიამის ნათქვამი სიტყვები: „არც ადამიანთა ხმებიდან, არც ანგელოზთა უწყებიდან გავიგე კეთილი ამბავი. მე უკვე ვიცოდი. გულში ვინახავდი მის სიტყვას: მესამე დღეს აღვდგები!“³³

³² Martin S., *Il Vangelo segreto di Maria*, Cinisello Balsamo, 2001, 187-222.

³³ ეს არის თეოლოგიური კვლევის ხაზი, რომელიც დადასტურებულია ბენედიქტე XVI-ის მიერ, რომელმაც „იხარე დედუფალო“-ს ინტერპრეტაციის დროს შემდეგი განაცხადა: „მარიამმა გულში ჩაიმარხა აღდგომის „კეთილი უწყება“, ჭეშმარიტი სიხარულის წყარო და საიდუმლო და ჭეშმარიტი მშვიდობა, რომ მკვდარმა და აღდგომილმა ქრისტემ ჯვრის მსხვერპლით მოგვიპოვა“. ყოვლადწმინდა მარიამი, მოსმენის ღვთისმშობელი თავისი რწმენის გზის დასაწყისში, ასეთად რჩება ძის აღდგომის საიდუმლოებაშიც. ეს არის ნიშნის იმისა, თუ როგორ უნდა მიიღოს მორწმუნემ სიტყვა, რაზეც დაფიქრდება და რწმენით და სიქველით გადმოსცემს. შტრ. <tl>TJ2K> [16.09.2021].

V. ხალხური ტრადიციები და ლიტურგია

ამ ქვესათაურში წარმოდგენილი წესრიგი, უკვე მიუთითებს იმაზე, თუ როგორ არის გავრცელებული მარიამის ცხოვრების ეს ასპექტი უფრო მეტად ხალხურ ტრადიციებში, ვიდრე ლიტურგიაში³⁴. როგორც ჩანს, მამათა მსოფლმხედველობა და ის, რაც მოხსენიებულია ზოგიერთ არაკანონიკურ თხზულებაში (აპოკრიფული სახარება) უფრო მეტად შემოვიდა და დარჩა ხალხური რწმენის ზოგიერთ ფორმაში, ვიდრე ლიტურგიაში.

მსოფლიოს მრავალ კუთხეში გავრცელებული ხალხური ღვთისმოსაობა, განსაკუთრებით ესპანეთსა და სამხრეთ იტალიაში, ღვთისმშობელთან აღდგომილი უფლის შეხვედრისადმი მიძღვნილი პროცესია-მსვლელობები, სწორედ ამ შეხვედრის მომენტს აღნიშნავს, რომელიც გამთენიისას მოხდა პასექის კვირადღეს.³⁵ აღდგომის პერიოდში ქრისტიანები ცნობილი ანტიფონით მიმართავენ მარიამს “Regina Caeli”, რასაც ტრადიცია პაპს, გრიგოლ დიდს (590-604) მიაწერს, როდესაც რომში, ერთ სააღდგომო დილას, მან მოისმინა ანგელოზების გალობის პირველი სამი სტრიქონი: “Regina

³⁴ შდრ., Gaspari S., *Maria nell'anno liturgico e pietà popolare: Tempo pasquale e Ordinario*, in AA. VV., *La Vergine Maria nel cammino orante della Chiesa. Liturgia e pietà popolare*, Centro di Cultura Mariana “Madre della Chiesa”, Roma, 2003, 10-34.

³⁵ შდრ., Marranzini A., *Il Cristo Risorto è apparso anzitutto a Maria sua Madre? in Vincenzo Zoccali (A cura di), Memoria e Profezia. Nel XX anni-versario di fondazione dell'Istituto Superiore di Scienze Religiose di Reggio Calabria, 1994, 115-135.* დირექტივა სახალხო ღვთისმოსაობის და ლიტურგიის შესახებ. პრინციპები და გზამკვლევი, n.149 საუბრობს ამ შეხვედრაზე, რომელშიც ვკითხულობთ: „ხალხური ღვთისმოსაობა ალღოთი გრძნობდა, რომ ძის დაკავშირება დედასთან მარადიულია: ტკივილისა და სიკვდილის ჟამს, სიხარულისა და აღდგომის ჟამს. ლიტურგიული დადასტურება, რომლის მიხედვითაც ღმერთმა სიხარულით აღავსო ღვთისმშობელი ძის აღდგომისას, ასე ვთქვათ, ითარგმნა და თითქმის წარმოადგენდა ხალხური რწმენით საღვთო მსახურებაში აღდგომილ ძესთან დედის შეხვედრას: აღდგომის დილით ორი მსვლელობა ეწყობოდა, ერთს მწუხარე დედის ხატით, მეორეს აღდგომილი ქრისტეს ხატით, ორივე მსვლელობა ერთმანეთს იმის აღსანიშნავად ხვდება, რომ ღვთისმშობელი თავისი ძის აღდგომის საიდუმლოს პირველი და სრული მონაწილე იყო“.

caeli, laetare. Quia quem meruisti portare, Resurrexit, sicut dixit”, რასაც მან მეოთხე სტროფი თავად დაამატა: „Ora pro nobis Deum”.³⁶ ტექსტი ვარაუდობს, რომ ქალწულმა არ იცის თავისი ძის აღდგომის შესახებ, ამაზე მას ღვთის ხალხი აუწყებს.³⁷

აღდგომის ჟამის ღვთისმოსავ საქმეთა შორის, IPCM სახელმძღვანელო³⁸ გვთავაზობს ღვთისმშობელსა და ღვთისმოსავ მონაფეთა შორის დიალოგს, სადაც აღინიშნება, რომ მარიამი, სიტყვის

³⁶ იოანე პავლე II-ის ხატოვანი მოსაზრება *Urbi et Orbi*-ში, აღდგომის კვირადღე, 3 აპრილი 1988 წ.: „ილოცე ჩვენთვის ... ილოცე მთელი წუთისოფლისთვის... ილოცე მშვიდობისთვის, სამართლიანობისთვის მსოფლიოში. ილოცე ადამიანის სხვადასხვა უფლებისთვის, მეტადრე, ყოველი კაცის რელიგიური თავისუფლებისთვის, თითოეული ქრისტიანისა და არაქრისტიანისთვის, ყველგან ილოცე ჩვენთვის. ილოცე მსოფლიოს ყველა ხალხის სოლიდარობისთვის... შენი და ჩვენი სააღდგომო სიხარულით კვლავაც ვატარებთ კაცობრიობის ტვირთს, მრავალთა გულის ტვირთს, ჩვენი ძმების, ჩვენი დების. ერთად ვიმეორებთ: ილოცე ჩვენთვის“.

<t.ly/34cG> [15.09.2021]

³⁷ Al numero 196. del documento pontificio *Direttorio su Pietà Popolare e Liturgia*. პრინციპები და გზამკვლევი: „აღდგომის ჟამს, რომის პაპის ბენედიქტე XIV-ის ბრძანებით (1742 წლის 20 აპრილი), *Angelus Domini* ნაცვლად იკითხება ცნობილი ანტიფონი *Regina caeli*, რომელიც ალბათ X-XI საუკუნეებით თარიღდება, [233] იოლად აერთიანებს სიტყვის განხორციელების საიდუმლოებას (ქრისტე, რომელიც მუცლად ატარე) აღდგომის მოვლენით (აღდგა, როგორც დაჰპირდა), ხოლო „სიხარულში მოწვევა“ (გიხაროდენ), რასაც ეკლესია მიმართავს დედას ძის აღდგომის გამო, უკავშირდება და დამოკიდებულია „სიხარულის მოწვევაზე“ („გიხაროდენ, მიმადლებულო“: ლუკ. 1,28), რასაც მთავარანგელოზი გაბრიელი მიმართავს უფლის მდაბალ მხევალს, ვისაც ღმერთმა მოუხმო მესიის დედად“. [233] ანტიფონი დამონმებულია ბენევენტოში სან ლუპოს სააბატოს ანტიფონარიუმში (მე-12 საუკუნე). შდრ., R. J. HESBERT (ed.), *Corpus Antiphonarium Officii*, vol. II, Herder, Roma 1965, xx-xxiv; vol. III, Herder, Roma, 1968, 440. ნომერი 151 ნათქვამია: „ზოგიერთ ადგილას, აღდგომის ცისკრის ბოლოს ან აღდგომის კვირის მეორე მწუხრის შემდეგ, ტარდება მოკლე საღვთო მსახურება: აკურთხებენ ყვავილებს, რომლებიც მორწმუნეებს გადაეცემათ აღდგომის სიხარულის ნიშნად და პატივს მიაგებენ მგლოვიარეს ხატს, რომელიც ზოგჯერ გვირგვინით იმოსება, ამ დროს გალობენ *Regina caeli*. მორწმუნეები, რომლებიც ღვთისმშობლის ტკივილს უძღვნებენ თავს, ასე ხარობენ მასთან ერთად აღდგომის გამო“. <t.ly/IToj> [15.09.2021]

³⁸ *Cei, In preghiera con Maria, la madre di Gesù. Sussidio per le celebrazioni dell'Anno mariano 1987-1988, (= IPCM), 304-306.*

მორჩილი მსმენელი, ძლიერად განიცდის თავისი ძის აღდგომას ამ ჟამში.³⁹ ამ ჟამს, **Via Crucis**-ის ნაცვლად არის **Via Lucis**– ის ნირვა, როგორც განგრძობა და კულმინაცია თვით **Via Crucis**–ისა (შდრ. დირ 153). თუკი **Via Crucis**-ზე მარიამი თან ახლდა მორწმუნეს ქრისტეს ტანჯვაში, ამჯერად მას აღდგომის სიხარულში იწვევს.⁴⁰

ლიტურგიული წლის ჟამთა მიხედვით ნეტარი ქალწული მარიამის ხსენების წმიდა ნირვები; ამ ტექსტებს შორის, ერთ-ერთი ეძღვნება *წმინდა მარიამს უფლის აღდგომაში*.⁴¹ ეს ტექსტები გამოირჩევა თავისი სწავლებით და ხატოვნებით. ასეთ კომენტარს გამოთქვამს მასზე ე.წ. „ფორმულარის“ შესავალი: „...ეკლესია, მიესალმება რა ღვთისმშობელს, სიხარულში იწვევს მას; „გიხაროდენ, ქალწულო დედაო: ქრისტე აღსდგა“ (ზიარების ანტიფონა); „ნათლის დედაო: იესო, სიმართლის მზე, სამარხის სიბნელის დამთრგუნველი, მთელ სამყაროს ანათებს“ (შესავალი ანტიფონა); „გიხაროდენ, წმინდაო მარიამ, ვინც ძის ტკივილები ჯვარზე მიიტანე და ახლა უმშვიდესი სიხარულით ხარობ“ (ალილუია). ღვთისმშობელი, ვინც რწმენის გამო ჩასახა ძე და რწმენით ელოდა მის აღდგომას (შდრ. ნინასიტყვაობა), მაგალითია მონაფეთათვის, რომლებიც აღიარებენ ქრისტეს. „ძე ქალწულისა, სიტყვა კაცადქმნილი“ და ელიან „მისი აღდგომის ძალით“ მიაღწიოს „სამარადისო სიხარულს“ (ლოცვა ზიარების შემდეგ).“⁴² გარდა ამ ახალი წინადადებისა ლიტურგიაში,

³⁹ ეს დიალოგი, რომელიც სახალხო ღვთისმოსაობიდან მოდის, გვიჩვენებს სახარებების სააღდგომო საკითხავს.

⁴⁰ **Via Lucis** გულისხმობს 14 შეჩერებას, რომელიც მოიცავს სახარების მონაკვეთის ან მოციქულთა საქმეების კითხვას, რასაც მოჰყვება მედიტაცია, ლოცვა და გალობა. **Via Lucis**, ძესთან ერთად ზეცაში მყოფი დედის რწმენით გასხივოსნებული, მიზნად ისახავს მოციქულთა და პირველ მონაფეთა სულიერი გზის გაგრძელებას, რომლებიც ვნებისა და სიკვდილის უიმედობიდან გადადის აღდგომითან შეხვედრის გაცეხასა და სიხარულში. იხ., AA. VV., *Via Lucis*, Leumann, 1990, 152.

⁴¹ თუმცა, ეს „ფორმულა“ უკვე გარკვეული ხანია გვხვდება რომაულ მესალეში – *Messale Romano* (Comune della Beata Vergine Maria, Tempo di Pasqua, p. 656)

⁴² <t.ly/RwVI> [16.09.2021]

რა თქმა უნდა, ეს ახალი ტექსტები წინადადებული ნაბიჯია მარიამის ქრისტეს სააღდგომო საიდუმლოებასთან კავშირში და, ამავე დროს, ახ-

რომელმაც ერთმანეთთან დააკავშირა აღდგომის საიდუმლო და მარიამის, „უფლის დედის“ ცხოვრება, ლიტურგიული კუთხით მაინც არასაკმარისია ყურადღება მაშინ, როცა თეოლოგიური მსჯელობები უფრო მეტად საინტერესო ჩანს.⁴³

VI. იკონოგრაფიული მონუმენტები

რას ამონშებს სახელოვნებო ტრადიცია დედის წინაშე მკვდრეთით აღდგომილი ქრისტეს გამოცხადებაზე?⁴⁴ ღვთისმოსაობამ თავისი იკონოგრაფიული გამოხატვა ჰპოვა აღმოსავლეთშიც და დასავლეთშიც. აღმოსავლური იკონოგრაფია ერთგული რჩება მენელსაცხებლედ დედაკაცების გამოსახულების მიმართ, რომლებიც აღდგომის კვირას დილით ნელსაცხებლებით მიეშურებიან სამარხისკენ.⁴⁵ აღმოსავლეთში, ერთადერთ ამ სურათს აღიარებენ აღდგომის ისტორიული ფაქტის მონუმობად. გამოსახულებაში წარმოადგენენ ორ-სამ დედაკაცს, რომლებიც მიეშურებიან სამარხისკენ,

ლადშექმნილი ეკლესიის საიდუმლოებასთან: აღდგომის დღესასწაულის აღნიშვნის ხსოვნა ჯერ კიდევ სუსტია, შეიძლება არც კი არსებობს კიდევ. „პასეის ჟამს“ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის წირვის აღსანიშნავად „ლიტურგიული ფორმულარის“ აღდგენა, რა თქმა უნდა, დაეხმარება დოქტრინულად გაღრმავდეს შაბათის მარიამისეული ხსოვნა ლიტურგიაში და, ზოგადად, ღვთისმშობლის კავშირი უფლის აღდგომასთან ლიტურგიაში და არა მხოლოდ ხალხურ მონინებაში. იხ., *Nuovo Dizionario di Mariologia*, Ed. 'San Paolo', 1220.

⁴³ საკმარისი იქნება რამდენიმე მარიოლოგიური ტექსტის ანალიზი, რათა ამ ასპექტს მიექცეს ყურადღება. „სან პაოლოს“ გამოცემების მარიოლოგიის ახალ ლექსიკონში, მაგალითად, მინიმუმ ოცი „ელემენტი“ ეხება ამ თემას.

⁴⁴ შდრ. Soranzo M., *La Pasqua, Collana L'arte racconta la Bibbia*, Vol.III, Ancora Editrice, 2021, 110. ბიბლიის მკვლევარი გ. ფ. რავასი წერს: „ხელოვნებას ხშირად ხელენიფება „წმინდა ტექსტის საიდუმლო გამოძახილები ხილვადი გახადოს, გააღვივოს ის უნარები, რასაც მეცნიერული ეგზეგეზი დიდი სირთულით მოიპოვებს და ზოგჯერ სრულიად იგნორირებს“. შდრ. *La Prefazione allo studio di Maria Cecilia Visentin, Bibbia e arte. I percorsi della cultura e della fede*, ed. Messaggero, Padova, 2006.

⁴⁵ იხ., Garib G., *Le Icone festive della Chiesa ortodossa*, Ancora, Milano 1985, 240.

მ. გაბრიელე ბრაგანტინი

რაზეც ერთი ან ორი ანგელოზი ზის; მათ გამოესახებათ აღდგომილი, რომელიც ასე ეუბნება: “Noli me tangere” და ასევე “Chairete” ან “Salve”. დედაკაცთაგან ერთ-ერთი მარიამია, რომელიც ხშირად ამოსაცნობია მისი სახელის ინიციალებით – MPHY⁴⁶, ასევე იმ შარავანდედით, რაც თავზე ადევს, ტრადიციული სამოსიდანაც, რითაც მას გამოსახავდნენ ნახატებში და ასევე იმ სამი ვარსკვლავით, რასაც მის შუბლზე და მხრებზე გამოსახავდნენ, ნიშნად მისი მუდმივი ქალწულობისა.

ერთ-ერთი პირველი ცნობილი სურათი დაცულია დურა-ვეროპის ბაპტისტერიუმში და თარიღდება დაახლოებით 230 წლით. შემდეგ მოდის რომში, სანტა საბინას ისტორიული კარის პანელი, V ს.

VI საუკუნეს მიეკუთვნება მნიშვნელოვანი ძეგლები, როგორცაა, რავენაში სანტა აპოლინარე ნუოვოს მოზაიკა და ზოგიერთი წმიდა მიწის ამჟღავნება, მონცას საგანძურებიდან ცნობილი. ისევ VI საუკუნეს [უფრო ზუსტად 586 წელს, სირიულ ენაზე დაბეჭდილი წიგნის ასლის თარიღი] ეკუთვნის ე.წ. „რაბულის სახარების“ მინიატურა, რომელიც სხვებთან ერთად, შეიცავს ორ სურათს: ზემოთ გამოსახულია ჯვარცმა, სადაც მარიამი ერთადერთი შარავანდედით მოსილი ქალბატონია; ქვედა სცენაზე კი მოჩანს ჯარისკაცებით დაცული სამარხის ორივე მხარე, ორი განსხვავებული სცენარით: მარცხნივ მჯდომარე ანგელოზი, რომელიც ესალმება ორ, ფეხზე მდგარ დედაკაცს; მარჯვნივ მდგარი ქრისტე, თეთრებით მოსილი, რომელიც მარჯვენა მალლა შემართული ხელით აკურთხებს მის წინ მიწაზე გართხმულ ორ დედაკაცს: ორივე სცენაში მარიამი შეიცნობა თავზე მოოქროვილი შარავანდედით.⁴⁷ ამ მაგალითებს, კიდევ ოთხ ხელოვნების ნიმუშს დავუმატებთ: 1) ფლო-

⁴⁶ Greek: Μητρ (τοῦ) Θεοῦ, abbreviated MP ΘΥ (Latin Mater Dei, Dei Genitrix or Deipara), the title is often left untranslated, as “Theotokos”, in Orthodox liturgical usage of other languages. The title has been in use since the 3rd century, in the Syriac tradition: ܡܪܝܡ ܗܝܘܠܬܐ: Yoldath Aloho in the Liturgy of Mari and Addai (3rd century) and the Liturgy of St James (4th century). The Council of Ephesus in AD 431 decreed that Mary is the Theotokos because her son Jesus is both God and man: one divine person with two natures (divine and human) intimately and hypostatically united.

⁴⁷ შდრ., <ty/RHEd> [14.09.2021]

რენციის საკათედრო ტაძრის მიწისქვეშა ბაზილიკა სანტა რეპარატას ფრესკაში, ღვთისმშობელი, ახალი განთიადის ქალბატონი, რომელმაც დაისი არ იცის, ძის გვერდით არის აღდგომისას; 2) იერუსალიმში, წმინდა საფლავის ბაზილიკაში, ფრანცისკანური გუნდის მახლობლად, არის აღდგომილი ქრისტეს დედასთან გამოცხადების სამლოცველო, ამ ფაქტს, ყოველთვის მხარს უჭერს ქრისტიანული ტრადიცია და ხელოვნება;⁴⁸ 3) სიცილიელი ოსტატის საღვატორ ფიუმეს პანელი (1988 წლის კერძო კოლექცია), ასახავს აღდგომილ იესოს დედასთან გამოცხადებას;⁴⁹ 4) ლორეტოს საკურთხეველში (იტალია), გერმანულ სამლოცველოში არის ლუდოვიკო სეიცის ფრესკა (რომი 1844-1908).⁵⁰

VII. დასკვნა

თუკი ახალ აღთქმაში არაფერია ნათქვამი მკვდრეთით აღდგომილი იესოს დედასთან გამოცხადების შესახებ, შეიძლება ით-

⁴⁸ ეს სამლოცველო მდებარეობს ბაზილიკის შესასვლელის მოპირდაპირე მხარეს, იგი ფრანცისკელ ბერთა საეკლესიო დღესასწაულების ოფიციალური ადგილია, აქ მათ გუნდი ჰყავთ საკრებულო ლოცვისთვის. ამ სამლოცველოში მორწმუნეები საუკუნეები სცემდნენ თაყვანს გაშოლტვის სვეტს: 0,75 მ სიმაღლის გადაჭრილი სვეტი.

იხ., < t.ly/im2L > [17.09.2021]

⁴⁹ საღვატორე ფიუმე, რომელიც გარდაიცვალა 2000 წელს, ბრწყინვალეობით მოსილს წარმოაჩენს ღვთისმშობელს იმ წუთებში, როდესაც ჩამავებული გუგებით და ალერსიანი ღიმილით უმზერს აღდგომილ ძის სახეს. უცნაურია, რომ ქრისტეს ფიგურა, დედაზე და გოლგოთის მთაზე მოფენილი შუქის მიუხედავად, სიბნელეშია ჩაფლული. ამგვარი ახსნით შეიძლება მკვდრეთით აღდგომილ ქრისტეში, ჯერ კიდევ დავინახოთ ვნების ცოცხალი ხსოვნა, რომლის ნიშანიც არის, ძესა და დედას შორის ჰორიზონტალურ ხაზზე განთავსებული სამი ჯვარი. იხ., იქვე.

⁵⁰ 1901/2 წლებში მხატვარმა გამოსახა აღდგომილი იესო დედის წინაშე გაბრწყინებული სახით, რომელიც ხელებს მისი ძისკენ იშვერს დედობრივი ალერსით, გაოცებით და სიხარულით. საოცარი ვერისტიკული ნატურალიზმის საპირისპიოდ, სეიცმა 400-იანი წლების მხატვრობაში შეიყვანა გოთური. სახალხო ღვთისმოსაობა ლუდოვიკო სეიცის ფრესკის სცენას მიიჩნევს, როგორც რეალურად მომხდარ მოვლენას და ამის მიზეზი ეს არის: მეტისმეტი იყო ძის სიყვარული დედისა და დედის – ძისადმი. იხ., იქვე.

მ. გაბრიელე ბრაგანტინი

ქვას, ეს სრულიად გონივრული მიზეზებით აიხსნება. კანონიკური ტექსტებიდან მისი ამოგდება, სულაც არ აცლის მის როლს ისტორიულ საფუძველს, გამომდინარე იქედან, რომ სახარებები არ წარმოადგენენ უწინარესად ისტორიულ წიგნებს და მათში წერილობით ყველაფერი არ არის გადმოცემული (შდრ. იოანე .21, 21, 23: ყველაფერი რომ დაინეროს, მთელი სამყარო არ იქნება საკმარისი ეს წიგნები რომ მოიცვას...); ის, რაც ზეპირად და წერილობით იქნა გადმოცემული, *ახალი აღთქმის* თხზულებების გარდა, აშკარად მიკერძოებულ ხილვაზე დაგვაფიქრებს, ვინაიდან მარიამი არ იყო ჩართული იმ ურწმუნოებაში, რამაც შეარყია მონაფეთა ჯგუფი იესოს ვნების ჟამს და მისი სიკვდილის შემდეგ. თავისი შინაარსობრივი სიმწირით, ამ არქაულმა ამბავმა, სულ მალე შეიძინა მდიდარი თეოლოგიური შტრიხები.⁵¹ როცა ამ მოწმეობებს უბრუნდებოდნენ, თეოლოგიურ მსჯელობაში ყოველთვის აქტუალურობას იძენდა ისეთი თემები, როგორცაა კავშირი გამოცხადებასა და ტრადიციას შორის, წმინდა წერილის გადმოცემასა და მიღებას შორის,

⁵¹ ასევე შეიძლება ვიფიქროთ, რომ იუდეველი ქრისტიანები მას იყენებდნენ მაგდალელის შესაცვლელად დოქტრინალური პოლემიკის ძალით, რომელთაც ისინი სხვა საეკლესიო დაჯგუფებებს უპირისპირებდნენ, უკვე მეორე საუკუნის პირველ ნახევარში. მათი ეს თხრობითი ვერსია არსებობას განაგრძობდა მათსავე გარემოში მანამ, სანამ არ ჩაილექა გამალიელის სახარებაში, რაზეც ჩვენ უკვე ვისაუბრეთ. იმავდროულად, სემიტურ ქრისტიანულ სამყაროში, ეფრემ ასური, ვისაც არ სურდა არაფრისგან შეექმნა ახალი ისტორია, რაც მხოლოდ მისი კალმის ნაყოფი იყო, მოეჭიდა იოანეს სახარებაში საპასეჟო მოვლენებში აღწერილ იესოს დედასთან გამოცხადების ფაქტს და, გავლენა იქონია ძველმა იუდეურ-ქრისტიანულმა პოლემიკამაც, მიხვდა არსებითს, მან მაგდალელი ღვთისმშობლით ჩაანაცვლა, და ასე გაამარტივა ამბავი (იხ. ასევე შენიშვნა 12). მისმა ავტორიტეტმა იგი დატოვა ბიზანტიურ ტრადიციაში და მას მიმართავდნენ სხვა წმიდა მამებიც IV-V საუკუნიდან. საბოლოოდ, ეს ვერსია იქცა მოთხრობად ბართლომეს სახარების წიგნში. ამასთან, იოანეს სახარებაში ხანგრძლივმა ცვლილებამ განაპირობა ის, რომ იესოს დედის წინაშე გამოცხადების შესახებ ფაქტი ეკლესიამ სრულად და თავისუფლად ვერ მიიღო. ეკლესიამ ამჯობინა, რომ მისი მიღება დროთა განმავლობაში მომხდარიყო, თითქმის ბუნებრივად, ანდა შემოენახა ცნობა არსებითი და ლაიკონური გზით, ვიდრე ღვთის სიტყვა შეეცვალა.
შდრ. <tl/RHed> [14.09.2021]

განსაკუთრებით კანონიკური და არაკანონიკური წერილების,⁵² ქრისტოლოგიასა და მარიოლოგიას შორის: მარიამის ადგილი ძის მისიაში, როგორც განხორციელების მომენტში, ასევე საპასეჟო საიდუმლოს აღსრულებაში: უკანასკნელი სერობის დროს,⁵³ ჯვართან (დედა და დედაკაცი), სერობის ოთახში უფლის ამალლების შემდეგ; ასე უფრო ადვილად გავიგებთ განხორციელებას, აღდგომის, მარიოლოგიის ფონზე⁵⁴: რამდენად საერთოა აღმოსავლურ და დასავლურ

⁵² უნდა აღინიშნოს, რომ აპოკრიფული თხზულებების დიდ მასალაში მხოლოდ ორი საუბრობს მკვდრეთით აღდგომილის გამოჩენაზე დედის წინაშე (ალბათ მესამე: თადეოსის საქმეები), ხოლო თეოლოგიურ მოსაზრებებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს და ზოგიერთ შემთხვევაში ნამდვილი საგანძურია, ლამის ამონებებს, რომ არაკანონიკურ ლიტურატიურას არ შეეძლო „გამოგონება“, ხოლო თეოლოგიური რეფლექსია, რასაც მხარს უჭერდა საეკლესიო ცხოვრება თავისი მრავალმხრივობით, ხანდახან ძალზე სწრაფად და გაბედულად მიაბიჯებდა.

⁵³ როგორ ავხსნათ გელათის ეკლესიაში (ქუთაისი) განთავსებული ფრესკა, ზემოთ თალის მარჯვნივ, უფლის უკანასკნელი სერობის გვერდით, წარმოდგენილი ფეხთბანის და პურისა და ღვინის კურთხევის ორი მომენტით, იგივე სცენებით არის გამოსახული, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ამჯერად განკარგავს უფლის დედა, რამეთუ თავისი ძის ადგილი უჭირავს?

⁵⁴ „ძის პიროვნებასთან და მის საქმეებთან დედის მჭიდრო კავშირის გამო, გასაგებია, რატომ ჰკრავს ერთად ეკლესია ბინომს „განხორციება-აღდგომას“ და აღმოაჩინს იესოს დედის აქტიურ ყოფნას როგორც ერთ, ასე მეორე მაცხოვრებელ მოვლენაში“. იხ., Serra A., *Dimensioni mariane del mistero pasquale*, Paoline, 1995, 160. რა თქმა უნდა, აღდგომის ტექსტები ნათელს ჰფენენ ხარების ტექსტს. რამდენი პუნქტი გადაკვეთს ერთმანეთს, რაც შემდეგ ბრწყინვალედ არის გამოხატული როგორც საშობაო, ასევე სააღდგომო ხატებში; გავიხსენოთ „ახალი სამარხი“ (ქალწული), სადაც უფალი იყო დასვენებული, აღდგომის საშვილოსნო (მათ. 27.60; ლუკ. 23.53; იოან. 19.41) და ქალწული მარიამის კალთა, სიცოცხლის წყარო (ლუკ. 1.35); სახვევები, რომელშიც მარიამი ახვევდა ახალშობილ ყრმას (ლუკ. 2.7) და დაკრძალვის სახვევები, რომლებშიც იოსებ არიმათიელმა ჯვრიდან ჩამოხსნილი იესოს უსიცოცხლო სხეული გაახვია (ლუკ. 23.53); ბაგაში, სადაც მარიამმა ბავშვი ჩაასვენა (ლუკ. 2.7) და ახალ სამარხში, რომელშიც იოსებ არიმათიელმა ჩაასვენა იესო (ლუკ. 23.53); აღდგომის ღამეს, როდესაც ქრისტე სასწაულებრივად გამოვიდა სამარხის კალთიდან და როგორ ჩასახა სულიწმინდის მიერ მარიამმა ქალწულებრივად ღვთის სიტყვა; როგორ აღიძრა სულიწმინდის ძალა სამარხის კალთაში (მდრ. რომ 8:11) და მგსავსადვე, როგორ აღიძრა სულიწმინდის ენერგია ღვთისმშობლის კალთაში (ლუკ. 1,35); ანგელოზი, უფლის მსახური ხარების წუთებში

მ. გაბრიელე ბრაგანტინი

ტრადიციებში⁵⁵ კავშირი განხორციელების თეოლოგიას, *სიტყვას* შორის, რასაც განუყოფელი ეკლესიის პირველი კრება აღიარებს და საპასეჟო საიდუმლოს თეოლოგიას შორის: ეს იგივე პირია: ის, ვინც მოკვდა და აღდგა, იგივე ღვთის სიტყვაა, ვინც მარიამის ნიაღში ჩაისახა,⁵⁶ და ვინც ჯვრიდან მიანდო მარიამი მთელ ეკლე-

(ლუკ. 1: 26-38), მსგავსადვე იმყოფებოდა სამარხზე, რათა გადაეგორებინა ქვა და ეუნყა აღდგომა (მათ. 28,2,6 და პარალელები). უნდა გვახსოვდეს, რომ ყველა ამ მიმონწერას გამუდმებით ამჩნევდა ტრადიცია. ეკლესიის მამათა შორის მოვიხსენიებთ წმინდა მაქსიმეს ტურინელს (დაახლოებით 350-423 წწ.), რომელიც პარალელს ავლებს მარიამ ქალწულის კალთასა და „ახალ სამარხს“ შორის, სადაც უფალი დაასვენეს (ქადაგება 38,4 CCL 23,150). ესპანური ლიტურგია იგივეს აკეთებს საპასეჟო რვაღღულის ჟამის ერთ-ერთ ინლაციოში: იესოს ახალ სამარხს, კლდეში გამოკვეთილს, რომელშიც ჯერ არავინ იყო მოთავსებული, ადარებს ქალწულ მარიამის კალთას, სადაც ქრისტეს სხეული ჩამოყალიბდა. ანტიკური ქრისტიანული იკონოგრაფია ბეთლემის შობის მღვიმეს ადარებს სამარხს, იერუსალიმის მღვიმეს, საიდანაც ქრისტე ხელახლა იშვება, როგორც საუკუნოდ ცოცხალი. შდრ., <t.ly/im2L> [17.09.2021] <t.ly/OHpl> [17.09.2021]

⁵⁵ წარმოდგენილი იყო როგორც აღმოსავლური, ასევე დასავლური ტრადიციების მოწმეობები, რომლებიც საუკუნეების მანძილზე გაძლიერდა როგორც ლათინურ ეკლესიაში, ასევე აღმოსავლურ ეკლესიებში, რადგანაც აუცილებელი იყო, რომ ძის გამარჯვებას მასზე ექადაგა, ასე შეერთებოდა მას ტკივილში, ბრძოლაში და ტრიუმფში; თუმცა, თუკი ვკითხულობთ, რომ „ეს არის აღმოსავლეთის ეკლესიის რწმენა, რომ ღვთისმშობელს არ უნდა მოაკლდეს ღვთისმოსავი ქალების პრივილეგია და, ალბათ, პირველი იყო, ვინც იხილა აღდგომილი ძე“ (Garib G., *Le Icone festive della Chiesa ortodossa, Ancora, Milano 1985*), იგივე დარწმუნებით, ამ „რწმენას“ ვერ მივანერთ დასავლეთ რომაულ ეკლესიას. რა თქმა უნდა, ეს საერთო ტრადიციის ნაწილია, რომელიც მიღებული და განცდილია სხვადასხვა ფორმით, როგორც მარიოლოგიის სხვა თემები; მაგალითად, მარად ნეტარი ღვთისმშობლის მინიერი ცხოვრების დაწყებისა და დასასრულის შესახებ, რომელიც მიუხედავად საერთო ტრადიციისა, რომის კათოლიკურ ეკლესიაში დოგმატურ გამოხატულებამდე მივიდა, რაც მართლმადიდებლურმა ეკლესიებმა არ მიიღეს.

⁵⁶ ათანასე ალექსანდრიელი (+373) უძველესი ხანიდან აზუსტებდა: აღდგომილი ეჩვენება მოწაფეებს თავისი დიდებული სხეულით, მაგრამ ეს იგივე სხეულია, რომელიც ჩაისახა და იშვა მარიამისგან. რწმენის კიდევ უფრო უძველესი ფორმულა ამბობს: ქრისტე „ჭეშმარიტად შობილი ქალწულისაგან... ჩვენს გამო ჭეშმარიტად მილურსმნული (ჯვარზე), თავისი ხორციით... ჭეშმარიტად ივნო, ისე როგორც ჭეშმარიტად აღდგა“ (ეგნატე ანტი-

სიას როგორც რჩეული მოციქული; მარიამი – ვინც იღებს არა მხოლოდ განხორციელების უწყებას, არამედ მარიამი – ვინც იღებს მისი ძის მკვდრეთით აღდგომის უწყებას; მარიამი – ვინც უნდა ხარობდეს „იხარე მარიამ...“, იმ უწყების გამო, რომ იგი იქნებოდა მესიის დედა, ეხარა ასევე აღდგომის სიხარულის გამო, ძნელადალსანერი სიხარული, გაცილებით დიადი, ვიდრე ხარების სიხარული იყო, არა მხოლოდ „უფლის მსახური“, არა მხოლოდ „მწუხარე“ (შდრ. ლუკ. 2.48), არამედ ის, ვინც ხარობს და ადიდება (შდრ. ლუკ. 1.46). როგორ აღვწეროთ ძის აღდგომით გამონვეული დედის სიხარული?⁵⁷ როდესაც ვიხსენებთ აღდგომის მოწმეთა უდიდეს მნიშვნელობას, არიან ტრადიციით აღიარებული მოწმეები, რომელთა სახელებიც ცნობილია და ფაქტები, რის გამოც ისინი აღიარებულნი არიან; მაგრამ არიან სხვა მოწმეები, რომელთა სახელები ჩვენ არ ვიცით, გავიხსენოთ თუნდაც ის 500 მოძმე, ვისზეც პავლე საუბრობს (1 კორ. 15.6), რომელთა შესახებ არ ვიცით, თუ როდის და როგორ მოხდა შეხვედრა, გავიხსენოთ მათათია და იოსებ ბარსაბა (შდრ. საქმეები 1: 21-23) რომლებსაც აღდგომის მოწმეებად გვაჩვენებენ.⁵⁸ ამიტომ, არც ისე ადვილია ჩამოვაცილოთ მარიამი, „უფ-

ოქელი, დაახლ. +110, სმირნა, 1-2). შდრ., Serra A., *Dimensioni mariane del mistero pasquale*, Paoline 1995, 160.

⁵⁷ ეპისკოპოსი ა. ბატისტი უდინელი პასტორალურ წერილში „მარიამი, აღდგომის იმედის ნიშანი ფრიულში“ 1979 წელს წერს: „ღვთისმშობლის პასეჟი ჩვენი საუკუნის მარიამისეული საიდუმლოა... მამები, ღვთისმეტყველები და სასულიერო ხელისუფლება უფრო ღრმად (წარსულში) ფიქრობდნენ განხორციელების საიდუმლოებასთან მარიამის ურთიერთობაზე. უფრო ნაკლებად ფიქრობდნენ აღდგომის საიდუმლოსთან მარიამის დამოკიდებულებაზე. დარწმუნებული ვარ, რომ თეოლოგიური მსჯელობა და სასულიერო ხელისუფლების ჩართვა ამ თემაში, სამომავლოდ გაძლიერდება იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენს დროში გაზრდილია ინტერესი ქრისტეს აღდგომის საიდუმლოს მიმართ“. იხ., <t.ly/_lal> [17.09.2021]

⁵⁸ წმ. იორალამო დი სტრიდონეს (+419/420) მოწმეობის მიხედვით, ამაღლების შემდეგ მარიამი მოციქულებთან ცხოვრობდა, როგორც პირველი მოწმე აღდგომის მოწმეთა შორის. იგი “*conversatur autem cum testibus sanctae resurrectionis et ipsa testis*”: ის, ფაქტობრივად, საუბრობს წმინდა აღდგომის მოწმეებთან და თავად არის მოწმე (ეპისტოლე. 9,4, PL 30,129; შდრ. Nn. 3-4, სვეტი . 128-130). იხ., <t.ly/_lal> [17.09.2021]

მ. გაბრიელე ბრაგანტინი

ლის დედა⁵⁹, მკვდარი და აღდგომილი უფლის მონუმების მაღლსა და მოვალეობას.

თუკი ჩვენ ამ არგუმენტზე ვმსჯელობთ, ცხადია, კათოლიკური ეკლესიის მხრიდან,⁶⁰ ამით არ მზადდება ნიადაგი მარიამის ახალი დოგმის გამოსაცხადებლად. ამ მსჯელობით გვინდა გამოვაცოცხლოთ ქრისტიანული ცხოვრების ასპექტები და დავფიქრდეთ მარად აქტუალურ და გამომწვევ თემებზე და გავაღრმავოთ მათ შესახებ თეოლოგიური ხედვა.⁶¹ შევეცადე, დასკვნის გაკეთებისას, მხედველობაში მიმეღო ის მონუმენტები და მოსაზრებები, რაც ხსნის ისტორიაში მარიამის როლს უკავშირდება და თავიდან ამეცილებინა ის „ზედაპირული“ მსჯელობები, რაც წარსულთან მის კავშირზე მეტყველებს, და ვფიქრობ, რომ უსაფუძვლო არაა და შედარებით არც ისე რთულია ისტორიულ ფაქტად ვაღიაროთ დედის წინაშე მკვდრეთით აღდგომილი უფლის ერთი გამოცხადება მაინც, თუნდაც სხვა გამოცხადებებზე პრეტენზია არ გვქონდეს.

⁵⁹ რა თქმა უნდა, ეს სათაური განხორციელების ორ მომენტს აერთიანებს: „როგორ მოხდა, რომ ჩემი უფლის დედა მოდის ჩემთან?“ (ლუკ. 1, 43), და იქვე მიზეზს ასახელებს: „ნეტარია ის, ვინც ირწმუნა უფლის სიტყვები“ (ლუკ. 1, 45) და აღდგომა: „ეს უფალია“ (იოანე 2: 7), ყველაზე ხშირი სახელი იესო ნაზარეტელის მისანიშნებლად, მისი აღდგომის დღიდან დაწყებული.

⁶⁰ ბოლო მოთხოვნა ახალი მარიამისეული დოგმის შესახებ, მას შემდეგ, რაც გამოცხადდა 1854 წელს (უბინოების კონცეფცია) და 1950 (ზეცად აღყვანება), რომელიც ეხებოდა „მარიამ თანა-გამომსყიდველის“ გამოცხადებას, პეტიციების სახით ჩავიდა ვატიკანში მეორე კრებაზე (1962-1965), რომელმაც უარყო წინადადება; თუმცა მომდევნო წლებში, ჩვენს დღეებამდე, ეს სურვილი განსაკუთრებით ცხოველუნარიანია ლათინურ ამერიკაში, აზიაში, კერძოდ ფილიპინებში და შეერთებულ შტატებში, საიდანაც, ბოლო წლებში, სულ უფრო დაჟინებით ხდება მოთხოვნა, რაც იმდენად ძლიერია, რომ რომის პაპმა ფრანცისკემ სამ ადგილზე გამოხატა თავისი საპირისპირო პოზიცია.

⁶¹ არ ყოფილა მათი პოზიციები წარმოდგენილი, ვინც უარყოფს ან თითქოსდა არ აინტერესებთ ეს ფაქტი, რადგან ჯერჯერობით დებატების ინტერესს წარმოადგენს გაიგოს და ჩაუღრმავდეს კანონიკურ ნაწარმოებებში მისი არყოფნის მიზეზებს და მის ყოფნას ცხოვრებაში და შემდგომ მსჯელობაში. Barrio M.L., *La Parola Nel Dinamismo Ignaziano: L'ispirazione Biblica Degli Esercizi*, Pontificio Istituto Biblico; 2008.

DID RESURRECTED JESUS CHRIST APPEAR TO HIS MOTHER?

Fr. Gabriele Bragantini *

The article offers a reflection on why in the writings of the New Testament there is no mention of an apparition of the Risen Lord to his Mother. In seeking the answers through testimonies from both the Western and Eastern traditions, there come often some themes that are always current and interesting for theological reflection, such as the relationship between Revelation and Tradition; between transmission and acceptance of Scripture – above all, canonical and non-canonical Scriptures; between Christology and Mariology: the place of Mary in the mission of the Son, both in the moment of the incarnation and in the fulfillment of the paschal mystery, thus more easily seeing the incarnation in the light of the resurrection. What and how much there is in common between the Eastern and Western traditions; relationship between the theology of the Incarnation – that of the first councils of the undivided Church – and the theology of the paschal mystery: the one who died and rose is the same Word of God who became incarnate in Mary's womb; Mary, who not only welcomes the announcement of the Incarnation but who also welcomes the announcement of the Resurrection of her Son. It is precisely the reflections matured on the role of Mary in the history of Salvation that give substance to the statement that the Lord appeared to his Mother, both in the East and in the West, though in the West in a more restrained way.

Keywords: Christology and Mariology, Scripture and Tradition, Incarnation and Resurrection, Ephrem the Syriac, Massimo the Confes-

* Lecturer at Sulkhan-Saba Orbeliani University. bragage@gmail.com

მ. გაბრიელე ბრაგანტინი

tor, Palamas, John Paul II, Mary Magdalene, Canonical and Apocryphal Gospels, Fathers of the Church, Latin and Eastern Theologians, Liturgy and Popular Traditions, Iconography.